ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 30 აგვისტო, 2018 №205 (7750) ფასი: 60 თეთრი

გოგონა, რომელიც 23 წლის ირანელმა გააუპატიურა, თბილისიდანაა

რა მოხდა ანაკლიის საოჯახო სასტუმროში გვ.7

„აფხაზეთი მალე დაგვიბრუნდება“

გვ.2

ზაალ კასრელიშვილი: „შამბა და მისი თანამებრძოლები მიხვდნენ, რომ აფხაზეთი მხოლოდ საქართველოსთან ერთად გადარჩება“

„რუსთავი 2“-ის წილის მფლობელი დეპუტატ კობა ნაყოფიას შვილი გახდა

25-25%-ის მფლობელებად კი ლევან და გიორგი ყარამანიშვილები დარჩნენ გვ.2

მურმან დუმბაძე: „2008 წელს ოპოზიცია სააკაშვილს მიეყიდა“

გვ.3

„მამუკა ბახტაძე სააკაშვილს ფულებს უჯიბავდა“

მამუკა ახვლედიანი: „პრეზიდენტს ჩემი თავი შევთავაზე“

გვ.3

დღეს სასამართლო სისტემა რეალურად ჩაიკეტა და 15-20-მა კაცმა ჩაიგდო ხელში მთელი ძალაუფლება

სამართალი

კოტე მორგოშია: „მე რომ დამაკავონ, უარესს მიიღებენ“

გვ.7



დოდო გუგეშაშვილი: „ჩემი შვილის მკვლელობის საქმეზე გამოძიება ერთ წრეზე ტრიალებს“

ხუთმა ნიღბიანმა ფირუზ ცეცხლაძეს ვაშლიჯვარში ბმვ იქს 5 გასტაცა 90-იან წლებში დავბრუნდით

ეკონომიკა

მამუკა ბახტაძე: „ეროვნულმა ბანკმა ძალიან მაღალი პროფესიონალიზმი გამოიჩინა“

გვ.5

მამუკა ბახტაძე საკურორტო ზონების მომზადების დონით უკმაყოფილოა და შესაბამის პირებს „ბოლო გაფრთხილებას“ აძლევს

თბილისში 10 ლითონის საფეხმავლო ხიდი რეაბილიტირდა



გვ.6

რას გულისხმობს და ვის ეხება სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 100%-დან 50%-მდე შემცირება

ISSN 1987-9385

2 გიორგი შენგელაია საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს

4 გიგა ბუკია: „ქართული ოცნების“ პოზიცია ხალხმა ვერ აღიქვა“

5 სააკაშვილი: „საქართველოს რკინიგზა ჩემ დროს იქცა ზემომგებიან საწარმოდ“

8 „ასადი უნდა შევაჩეროთ“ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა რუსეთი გააფრთხილა

„აფხაზეთი მალე დაგვიბრუნდება“

შორენა მარსაგიშვილი

ზაალ კასრელიშვილი: „შამბა და მისი თანამებრძოლები მიხვდნენ, რომ აფხაზეთი მხოლოდ საქართველოსთან ერთად გადარჩება“

აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი სერგეი შამბა სხვა ნოტზე ამღერდა. ადრე თუ ის აფხაზეთის ბრწყინვალე მომავალზე ყვებოდა ზღაპრებს, ახლა ამბობს, რომ ერის გადასარჩენად, მათ შეიძლება საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება მუხლებზე დაჩოქილებმა ითხოვონ.

– ვითარება თუ არ გამოსწორდება, მოგვიწევს, მუხლებზე დავდგეთ და საქართველოს ან რუსეთს თავიანთ შემადგენლობაში მიღება ვთხოვოთ, – განაცხადა ოპოზიციის შეკრებაზე სერგეი შამბამ.

ანალიტიკოსი უსაფრთოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ამბობს, რომ აფხაზები უკვე მიხვდნენ, რომ საქართველოს გარეშე მათ მომავალი არა აქვთ.

რატომ შეცვალეს აფხაზებმა ფირფიტა, რა პრობლემებს უქმნიან მათ რუსები და სომხები, რა იმალება შამბას განცხადების უკან? – ამ თემებზე ზაალ კასრელიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

ზაალ კასრელიშვილი:

– მე სულ გეუბნებოდით, რომ ადრე თუ გვიან აფხაზები საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების სურვილს გამოთქვამდნენ. როგორც ჩანს, ეს დროც დადგა.

ასეთი სიგნალები აფხაზეთიდან უკვე მოდის. მე არ ვიცი, რა ინფორმაციებს ფლობენ სამოქალაქო სექტორის და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, მაგრამ ჩვენი კავშირებით ძალიან საინტერესო ინფორმაციებს ვგებულობთ.

ძალიან მნიშვნელოვანია, როცა ასეთ განცხადებას სერგეი შამბა აკეთებს. ის გასული საუკუნის 90-იანი წლების პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელია.

– მარტო ელიტის წარმომადგენელი რომ იყოს, რა უჭირდა. ის თავის ძმასთან, ტარას შამბასთან ერთად აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

– სეპარატიზმის ფუძემდებელი რომ იყო, ეგ არის მნიშვნელოვანი. აფხაზი სეპარატისტების მოტივატორი იყო აფხაზეთის დამოუკიდებლობა და არა – რუსეთთან შეერთება. შამბა ამ პროცესების აქტიური მონაწილე იყო და კარგად იცის, რატომ მოკლეს რუსებმა მისი ერთ-ერთი მეგობარი. ეს ადამიანი სეპარატისტულ მოძრაობაში აქტიურად იყო ჩართული, მაგრამ საქართველოსთან კონფედერაციულ ურთიერთობებს უჭერდა მხარს.

კრემლის ზეწოლის შედეგად, ხაჯიმბა იძულებულია, მიწების გაყიდვა დაუშვას. რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა მდიდარი რუსი შეიძენს აფხაზეთში მიწას, აფხაზები კი მიწის გარეშე დარჩებიან.

ასე რომ, აფხაზ სეპარატისტებში თავიდანვე იყო ჩადებული ეს მიმართულება. როგორც ჩანს, რუსეთის სპეცსამსახურები, თავისი სატელიტების მეშვეობით, აფხაზებს ცრუ იმედებს აძლევდნენ. ჰპირდებოდნენ, რომ ნამდვილ დამოუკიდებლობას აჩუქებდნენ.

– ამათაც დაიჯერეს, ხომ?

– ფაქტია, რომ დაიჯერეს, მაგრამ ახლა აეხილათ თვალები. დღეს აფხაზეთში ძალიან მძიმე კრიზისია. აფხაზები უკმაყოფილოები არიან იმით, რომ აფხაზეთში ისინი ბიზნესს და ეკონომიკას ვერ აკონტროლებენ. ამას რუსეთის კრიზისიც დაემატა.

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის აღიარებას ცივილიზებული სამყარო არ აპირებს. მათი დამოუკიდებლობა ნაურუს დონეზე დარჩა. ბუნებრივია, აფხაზები ხვდებიან, რომ ხრამში გადაჩეხვამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა. ეს ნაბიჯი მიწების ყიდვა-გაყიდვაა.

– აფხაზები ხომ არ თანხმდებიან სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე მიწების მიყიდვას.

– აფხაზები უარს ამბობენ, რომ ეს მიწები რუსებს მიჰყიდონ. კრემლის ზეწოლის შედეგად, ხაჯიმბა იძულებულია, მიწების გაყიდვა დაუშვას. რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა მდიდარი რუსი შეიძენს აფხაზეთში მიწას, აფხაზები კი მიწის გარეშე დარჩებიან.

ზემოთ ბიზნესი ვახსენე და ერთ საინტერესო ამბავს გეტყვით – აფხაზი ბიზნესმენები აფხაზეთში ჩაკეტეს.

– ვინ ჩაკეტა?

– რუსებმა და სომხებმა. ფსოუს საბაჟოს ორი ეთნიკური სომეხი ბიზნესმენი აკონტროლებს. ერთ-ერთი მათგანი ფეესბეშნიკია. ეს ტიპები აფხაზებს ფსოუზე პროდუქციის გატანის უფლებას არ აძლევენ. აფხაზები იძულებული არიან, თავიანთი პროდუქცია ფსოუს საბაჟომდე ჩააბარონ.

ამას დაუმატეთ ფაროსანა, რომელმაც აფხაზეთის ეკონომიკა გაანადგურა. რუსეთმა არაფერი არ იღონა, რომ აფხაზებს ამ მავნებლის გაწყვეტაში დახმარებოდა. ძალიან ბევრი ფაქტორია, რომელიც საქართველოს წისქვილზე ასხამს წყალს.

– დასავლეთ საქართველოს ამაოხრებელი ფაროსანა რაღაც სასიკეთოს თურმე მაინც აკეთებს – ანტირუსულ განწყობას ზრდის.

– ფაროსანამ ჩვენც შეგვჭამა, მაგრამ საქართველო ბევრად უფრო დიდია, ვიდრე აფხაზეთი. აქ ორი რეგიონი გაანადგურა მავნებელმა, ენგურს მიღმა კი ყველა რაიონი ააოხრა.

შამბა და მის გვერდით მდგომი პოლიტიკოსები, რომლებიც გასული საუკუნის 90-იან წლებში გვებრძოდნენ, კარგად ხვდებიან, თუ რა საფრთხეების წინაშეა აფხაზეთი. მათ კარგად იციან, რომ საერთაშორისო სამართალში არსებობს ასეთი პუნქტები – იძულებით დაყოლიება, ლტოლვილების იძულებით დაბრუნება და ა.შ.

ამ პოლიტიკოსებს საქართველოსთან კონფედერაციული ურთიერთობები სურდათ. ძველ ურთიერთობებს თუ აღადგენენ, აფხაზეთსაც მოუვლიან და პოლიტიკაშიც დარჩებიან.

– რას ნიშნავს პოლიტიკაშიც დარჩებიან?

– იმას, რომ რუსეთი ყველაფერს აკეთებს ამ ხალხის პოლიტიკიდან გასადევნად. კაგებემ ძალიან კარგად იცის, რომ ეს ხალხი კონფედერაციულ მოწყობას უჭერს მხარს და არა – რუსეთში შესვლას. ამიტომაც მათ ნელ-ნელა ჩაანაცვლებენ ახალგაზრდა ეფესბეშნიკებით. შამბამ კარგად იცის ეს და ამიტომაც აკეთებს ასეთ განცხადებებს.

აფხაზები კარგად ხვდებიან, რომ საქართველოს გარეშე მომავალი არ აქვთ. ისინი იმასაც აღიარებენ, რომ, ქართველების გარდა, მათ სისხლისმიერი ნათესავი არ ჰყავთ.

– აქამდე მოსისხლე მტრებს გვეძახდნენ და ახლა გავხდით ნათესავები?

– ერთმანეთის სისხლი ქართველებმაც ხომ დავღვარეთ? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ერთი ერი აღარ ვართ. ასე არიან აფხაზებიც. ისინი ჩვენი ნათესავები არიან.

– ადიღეელებთან ნათესაობას ჩემულობენ უფრო და რა ვიცი.

– რა ადიღეელები? აფხაზები ართვეების ნათესავები არიან. ისე, რომ იცოდეთ, რუსი ადიღეელზე მეტად არავის ეზიზღება.

– რაში გამოიხატება ეს ზიზღი? გვეზიზღებიანო, არასდროს გამიგია მაგათგან.

– ადიღეელები მძიმე ხალხია და თავის გრძნობებზე საჯაროდ არ საუბრობენ. კავკასიის ამბებში დამეჯერება და დამიჯერეთ – ადიღეელები რუსებს დასანახად ვერ იტანენ.

მინდა ისიც იცოდეთ, რომ აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ქართველების წინააღმდეგ ჩრდილოკავკასიელებს არ უბრძოლიათ.

– აბა კონფედერაციის ჯარებში ვინ იყო გაწვრიანებული?

– კაგებეშნიკები, რომლებსაც ჩრდილოკავკასიური გვარები ჰქონდათ. ეს უკვე ყველამ იცის. ძალიან მალე აფხაზეთი საქართველოს დაუბრუნდება. შამბას განცხადება შემთხვევითი არ არის. აფხაზები მიხვდნენ, რომ ისინი მხოლოდ ქართველებთან ერთად გადარჩებიან.

თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა, აფხაზებს გამარჯობა ვუთხრა და გამარჯვება ვუსურვო. ჩვენ ისევ ერთად ვიქნებით. ამდენი სისხლი დაიღვარა და ჩვენ მაინც ძმებად დავრჩით.

– თქვენ ამას გულწრფელად ამბობთ აფხაზებზე?

– ოდესმე არაგულწრფელი ვყოფილვარ ინტერვიუში? რა თქმა უნდა, გულწრფელი ვარ.

– აფხაზებს თუ ძმებად თვლიდით, არ მეგონა.

– რას ლაპარაკობთ. ძმები მყავს აფხაზეთში. ჩემი ერთ-ერთი ძმაკაცის ცოლ-შვილი ამ ზაფხულს ჩემთან ისვენებდა ყაზბეგში.

გიორგი შენგელაია საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს

რეჟისორი გიორგი შენგელაია საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს. გიორგი შენგელაიას კანდიდატურა ცესკოში საინიციატივო ჯგუფმა წარადგინა, რომლის ერთ-ერთი წევრი პეტრე მამრაძეა.

გიორგი შენგელაიას თქმით, მან საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირების გადაწყვეტილება ქვეყანაში არსებული გაჭირვების გამო გადაწყვიტა.

– საპრეზიდენტო კანდიდატად იმიტომ ვრეგისტრირდები, რომ ქვეყანას ძალიან უჭირს, მაგრამ ამავდროულად, ძალიან არ უჭირს. მინისტრთა კაბინეტი და არეულ-დარეული პოლიტიკური სპექტრი რომ არ იყოს, ქვეყანას ასე არ გაუჭირდებოდა, – აღნიშნა მან.

ამასთან, გიორგი შენგელაიას თქმით, გაპრეზიდენტების შემთხვევაში ის პენსიებს გაზრდის.

შენგელაიას კანდიდატად დარეგისტრირების მიზნით, საინიციატივო ჯგუფი ცესკოში წარსადგენად ხელმოწერების შეგროვებას გეგმავს.

„რუსთავი 2“-ის წილის მფლობელი დეპუტატ კობა ნაყოფიას შვილი გახდა

ტელეკომპანია „რუსთავის 2“ -ის წილის მფლობელი, საქართველოს პარლამენტის წევრის შვილი გახდა.

„ბიზნესპრესნიუსის“ ინფორმაციით, ნიკოლოზ ნაყოფია, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, კობა ნაყოფიას შვილია, „რუსთავი 2“-ის საკონტროლო პაკეტის მფლობელი შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ 50%-ის მესაკუთრე გახდა.

სამეწარმეო რეესტრის მიხედვით, ამჯერად ტელეკომპანია „რუსთავის 2“-ში 22%-იან წილს ფლობს ლევან ყარამანიშვილი, 18%-ს გიორგი ყარამანიშვილი, საკონტროლო პაკეტის – 51%-ის წილის მფლობელი კი შპს „ტელეკომპანია საქართველოა“.

თავის მხრივ, შპს „ტელეკომპანია საქართველოში“ წლების განმავლობაში წილები ლევან და გიორგი ყარამანიშვილებს ეკუთვნოდათ. 2017 წლის აპრილის ამონაწერის მიხედვით, გიორგი ყარამანიშვილი 40%-ს, ლევან ყარამანიშვილი კი 60 %-ს ფლობდა.

თუმცა, სულ ახლახან, „რუსთავის 2“-ის საკონტროლო პაკეტის მფლობელ კომპანიაში წილების დათმობა/გასხვისება მოხდა. 2018 წლის 20 აგვისტოს ამონაწერის მიხედვით „ტელეკომპანია საქართველოს“ 50%-იანი მეწილე ნიკოლოზ ნაყოფია გახდა. დანარჩენი 25-25%-ის მფლობელებად კი ლევან და გიორგი ყარამანიშვილები დარჩნენ.

ბპნ

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მამუკა ახვლედიანი: „პრეზიდენტს ჩემი თავი შევთავაზე“

ნონა ცაბაძე

სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი საუბრობს.

– ბატონო მამუკა, პრეზიდენტს თქვენ შესთავაზეთ საკუთარი კანდიდატურა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე.

– საკუთარი კანდიდატურის შეთავაზება ცოტა უცნაურად ჟღერს, ასე პირდაპირ არ შემითავაზებია, მე განხილვის პროცესში მონაწილეობა ვითხოვე, საჯაროდაც გავაკეთე განცხადება და შემდეგ წერილობით გავუგზავნე ჩემი მოსაზრებები და სასამართლო სისტემის განვითარების კონცეპტუალური ხედვა.

ეს ფორმატი არასწორი მიმართულებით წავიდა. ყველა ერთმანეთზე გადაბრალებით იყო დაკავებული, არ სახელდებოდა არავითარი კანდიდატი, კანდიდატი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდებაო. ასეთ რამეს არ უნდა მოერიდონ კანდიდატები. მეც ჩავთვალე საჭიროდ, შემეთავაზებინა საკუთარი თავი პროცესის მონაწილედ და წარვადგინე კონცეპტუალური გეგმა.

– მხოლოდ კონცეფცია შესთავაზეთ თუ საკუთარი კანდიდატურაც?

– ეს ერთობლივი პროცესია, შევთავაზე გეგმაც, სიტუაციის მოგვარების გზებიც და ჩემი კანდიდატურაც.

– პრეზიდენტმა რა გიპასუხათ?

– პრეზიდენტისგან პირდაპირი უარი არ მომისმენია. იყო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კომენტარი, რომელიც დაამთავრა ტექსტით, რომ ამ ეტაპზე კონსულტაციები არ შედგა. ეს არ ნიშნავს არც უარს და არც დასრულებულ პროცესს. ორი თვე კიდევ შესაძლებელია ამ პროცესის განხილვა, ზოგადად ნოემბრამდე შეუძლია წარდგენა.

– ამ ეტაპზე რატომ შევიდა ჩიხში ეს პროცესი?

– იმიტომ, რომ ყველა მხარე ცდილობს, გადაბრალების პოზაში იყოს. ჩემი აზრით, აქ არასამთავრობოების შეცდომაც არის. არასამთავრობოებს თუ არ მოეწონათ პრეზიდენტის შეთავაზებული ფორმატი, მაშინ თვითონ შეეთავაზებინათ სხვა ფორმატი.

– ანუ არასამთავრობო სექტორსაც ადანაშაულებთ?

– ასე გვერდზე გაწევა და მხოლოდ კრიტიკის თვალით ყურება, რომ აბა ვნახოთ ერთი, ვის დაასახელებთ და მერე ჩვენ ვიქნებით კრიტიკულები იმ კანდიდატის მიმართ, ასეთი დამოკიდებულება არ შეიძლება. ყველა დაინტერესებულმა მხარემ უნდა მიიღოს ამ პროცესში მონაწილეობა. რაღაც სწორი ფორმატია შესარჩევი. მხოლოდ კანდიდატებზე მსჯელობა არ არის სწორი, იქ უნდა იყოს დისკუსია პრობლემატიკის გადაჭრის გზებზე, თუ როგორ უნდა მოხდეს სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების მოგვარება. თორემ კონკრეტული სახელები და გვარები ვერ წყვეტს საკითხებს.

– სერიოზული კრიზისია დღეს სასამართლო სისტემაში. გვენეტაძის მოულოდნელმა წასვლამაც აჩვენა ეს და ბევრი კითხვის ნიშანი დატოვა. თქვენ კარგად ხართ ჩახედული ამ სისტემაში, რა ხდება, ბატონო მამუკა?

– საზოგადოებრივი მოთხოვნა არის სხვა და პროცესები შიგნით სულ სხვაგვარად მიდის. დღეს სასამართლო სისტემა რეალურად ჩაიკეტა და 15-20-მა კაცმა ჩაიგდო ხელში მთელი ძალაუფლება სასამართლო სისტემაში. აქ ამ ყველაფერს ხელს უწყობს როგორც კანონმდებლობა, ასევე ნებისმიერი ის შავი ხვრელები, რომლებისგანაც სასამართლო სისტემის ფუნქციონირება შედგება.

დღეს სასამართლო სისტემა რეალურად ჩაიკეტა და 15-20-მა კაცმა ჩაიგდო ხელში მთელი ძალაუფლება

– სახეზეა სისტემური პრობლემა?

– დიახ, ეს არის სისტემური პრობლემა და აქ სახელები და გვარები არაფერს წყვეტენ. სისტემა ქმნის ყველაფერ ამას! ერთი გვარი მეორეთი შეიცვლება, მაგრამ მდგომარეობა იგივე იქნება.

– დაანონსებულმა რეფორმებმა და ე.წ. ტალღებმა არ გაამართლა. ვისი პასუხისმგებლობა იკვეთება ამ პროცესში, მთლიანი ხელისუფლების?

– რა თქმა უნდა, როგორც სასამართლო ხელისუფლების, ისევე ხელისუფლების უუნარობის. ხელისუფლებას არანაირი ხედვა არ ჰქონდა სასამართლო სისტემის განვითარების, ეს ცვლილებები ისევ სასამართლო სისტემიდან იყო შეთავაზებული.

ასევე შეცდომაა იუსტიციის სამინისტროსი, რომელსაც არ ჰქონდა ხედვა, რა სჭირდება სასამართლო სისტემას. ჩემი პირველი გამოსვლებიც სწორედ ამას ეხებოდა, რომ არავითარი ტალღები არ არსებობს, არანაირი რეფორმა არ მიმდინარეობს. პირიქით, ამ არასწორი გათვლებით, კიდევ უფრო გაძლიერდა ეს ჯგუფი და თითოეული ამ ცვლილებით მოიპოვა კიდევ უფრო მეტი ძალაუფლება.

– საუბარია იმაზეც, რომ მთლიანად შესაცვლელია იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების წესი და თავად ეს შემადგენლობაც. ამაზე რას იტყვით?

– რა თქმა უნდა, შესაცვლელია! მეტი ჩართულობაა საჭირო საზოგადოებრივი ჯგუფების და არა პოლიტიკოსების. კიდევ უფრო მეტი ღიაობაა საჭირო. შესაცვლელია მოსამართლეთა დანიშვნის წესი. არ შეიძლება ასე ხელაღებით უარი ეთქვათ კანდიდატებს და მხოლოდ ერთი კაცის გადასაწყვეტი გახდეს, ვინ იქნება მოსამართლე და ვინ არა.

– წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, აღარ არის სასამართლოზე ის წნეხი, რასაც ადგილი ჰქონდა. ამაზე რას იტყვით?

– განსხვავება არის და იმას ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ზუსტად იგივე ფორმატით მიმდინარეობს, მაგრამ ზოგიერთ საკითხში კიდევ უფრო დამახინჯებული ფორმა მიიღო ამ ყველაფერმა. არავინ არ ამბობს იმას, რომ ყველა მოსამართლე უკანონო და ცუდ გადაწყვეტილებებს იღებს.

– აბა რაშია პრობლემა?

– უბრალოდ, სახიფათო სწორედ ის არის, რომ როცა უნდათ და როცა საჭიროდ ჩათვლის რაღაც ჯგუფი, მას შეუძლია ნებისმიერ შემთხვევაში მიიღოს ის შედეგი, რაც მას უნდა. ასიდან 5 საქმე იქნება ასეთი თუ 95, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ეს უნდობლობას იწვევს ნებისმიერ შემთხვევაში. ამ მიმართულებით არანაირი წინსვლა არ არის.

ვერ ვიტყვით, რომ ეს ხელისუფლების უუნარობის ბრალია, რადგან რაც მათ სჭირდებათ, იმას ძალიან კარგად აკონტროლებენ და შედეგსაც სასურველს იღებენ.

„2008 წელს ოპოზიცია სააკაშვილს მიეყიდა“

მურმან დუმბაძე: „ნინო ბურჯანაძემ უნდა დაასახელოს მიყიდულთა გვარები“

შორენა მარსაგიშვილი

საპრეზიდენტო არჩევნების წინ სკანდალებით არ მოვიწყენთ. პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ 10 წლის წინანდელი ამბავი გათქვა და საზოგადოება სერიოზულად დააინტრიგა.

„ტვ პირველის“ ეთერში საუბრისას ბურჯანაძემ განაცხადა, რომ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ოპოზიცია სააკაშვილს მიეყიდა. ბურჯანაძე იმ დროს საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობდა და ამტკიცებს, რომ მან ოპოზიციას ბოლომდე ბრძოლისკენ მოუწოდა.

მისი თქმით, ბოლომდე ბრძოლის ნაცვლად ოპოზიცია სააკაშვილის კაბინეტში გადაბარგდა და იქ მილიონებზე დაიწყო ვაჭრობა. ბურჯანაძე ამ საკითხზე გამოძიებასთანაც აპირებს თანამშრომლობას.

2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მაშინ ოპოზიციას ძალიან ცოტა დააკლდა გამარჯვებამდე. თბილისში ხმების დასაცავად საპროტესტო აქციები დაიწყო. მოულოდნელად ეს პროტესტი შეწყდა. ამას მაშინვე მოჰყვა ჭორები, მაგრამ მერე ომი დაიწყო და ამ ამბისთვის არავის სცხელოდა.

„ემსახურე საქართველოს“ ლიდერი მურმან დუმბაძე მაშინ რესპუბლიკური პარტიის წევრი იყო. რესპუბლიკური პარტია ოპოზიციურ გაერთიანებაში იყო შესული. ამ გაერთიანების საპრეზიდენტო კანდიდატი იყო ლევან გაჩეჩილაძე, რომელსაც მეორე ტურში გასასვლელად ძალიან ცოტა დააკლდა.

რატომ იყო გაჩეჩილაძის კანდიდატურის დასახელება შეცდომა, ვინ მიეყიდა სააკაშვილს, ვინ შემოიყვანა ივანიშვილი პოლიტიკაში? – ამ თემებზე მურმან დუმბაძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

– პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ამბობს, რომ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ოპოზიცია სააკაშვილს მიეყიდა. თქვენი აზრით, ვის გულისხმობდა ბურჯანაძე?

– ბურჯანაძე მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე იყო და ბევრი რამე ეცოდინება. ჩემი აზრით, ის ძმებ გაჩეჩილაძეებზე საუბრობდა. სხვათა შორის, ამ თემაზე განცხადება მის მეუღლეს ბადრი ბიწაძესაც აქვს გაკეთებული.

– ბადრი ბიწაძე გაჩეჩილაძეების და სააკაშვილის გარიგებაზე მართლაც საუბრობდა, მაგრამ ის ამბობდა, რომ ეს გარიგება 2009 წლის საპროტესტო აქციების დროს შედგა.

– ბადრი ბიწაძე 2008 წლის გარიგებაზე საუბრობდა. 2009 წელს გასარიგებელი და გასაყიდი აღარაფერი იყო. სააკაშვილის მიზნისთვის მიღწეული გახდა – მან შეძლო საპრეზიდენტო არჩევნების მოგება.

კითხვის ნიშნები 2009 წლის აქციების დროსაც იყო. რამდენიმეთვიანი უწყვეტი პროტესტი მოულოდნელად შეწყდა. ბევრი კითხვის ნიშანი არსებობდა სტადიონის აქციასთან დაკავშირებითაც.

რაც შეეხება ნინო ბურჯანაძის განცხადებას, მე ამ ინფორმაციას ვერც დაგიდასტურებთ, მაგრამ ვერც უარვყოფ.

მე გახლდით იმ გაერთიანების წევრი, რომელიც ლევან გაჩეჩილაძეს უჭერდა მხარს. რაღაც კითხვები და ეჭვები მაშინაც გაჩნდა, მაგრამ ეს იმას არ ამტკიცებდა, რომ ვიღაცა სააკაშვილს ევაჭრებოდა.

ოპოზიციას მაშინ ბრძოლა რომ არ შეეწყვიტა, სააკაშვილი პრეზიდენტი ვერ გახდებოდა. ბრძოლა მოულოდნელად შეწყდა. ქალბატონი ნინო ალბათ დაასახელებს კონკრეტულ გვარებს და უნდა დაასახელოს კიდევაც. ამაზე საუბარი სააკაშვილსაც შეუძლია.

– ისაუბრებს სააკაშვილი ამაზე?

– ვერ გეტყვით. ეს მისი საქმეა. ფაქტი ისაა, რომ მაშინ ოპოზიციის გაერთიანებამ შედეგი გამოიღო და ძალიან ცოტა დაგვაკლდა გამარჯვებამდე. მართალია ვერ გავიმარჯვეთ, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა წელში გადავტეხეთ. ეს ერთად დგომით შევძელით.

11 ოპოზიციურ პარტიას ახლაც შექმნილი გვაქვს გაერთიანება და მიმაჩნია, რომ ივანიშვილის წელში გადატეხაც შესაძლებელია. ძალა მართლაც ერთობაშია.

– მართალია 11 პარტია გაერთიანდით, მაგრამ როგორც თქვენი ოპონენტები ამბობენ, ეს 0%-იანი პარტიების გაერთიანებაა.

– მაღალი რეიტინგი არა გვაქვს, მაგრამ ვინც ამას ამბობს, იმათ საკუთარი რეიტინგი ბოლოს როდის გაზომეს? 2008 წელსაც არ გვქონდა მაღალი რეიტინგი, მაგრამ ერთად ბევრი რამე მოვახერხეთ.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ვსაუბრობთ და მინდა გითხრათ, რომ მაშინ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებოდი გაჩეჩილაძის კანდიდატურის წარდგენას.

– რატომ, რამე იცოდით?

– მაშინ მე რესპუბლიკურ პარტიაში ვიყავი და მიმაჩნდა, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი უნდა ყოფილიყო დავით უსუფაშვილი. მისი კანდიდატურაც განიხილებოდა, მაგრამ ჩატარდა შიდა პრაიმერისი და გაჩეჩილაძემ ერთი ხმით აჯობა უსუფაშვილს.



„მამუკა ბახტაძე სააკაშვილს ფულებს უჯიბავდა“

ეს ამბავი ისე მეწყინა, რესპუბლიკური პარტიიდან წასვლას ვაპირებდი, მაგრამ თანაპარტიელებმა გადამარწმუნეს. მითხრეს, რომ ეს ოპოზიციურ ერთობაზე ცუდად აისახებოდა. მეც დავრჩი და ბოლომდე ვიბრძოლე, მაგრამ მიმაჩნდა, რომ კანდიდატად უსუფაშვილი უნდა დაგვესახელებინა.

– უსუფაშვილს ასე რატომ უჭერდით მხარს?

– უსუფაშვილი გაჩეჩილაძისგან ბევრი რამით განსხვავდება. ის არის პოლიტიკოსი. მისი კანდიდატურა რომ დაგვესახელებინა, ის აუცილებლად მოიგებდა არჩევნებს. 2008 წელს უსუფაშვილი პრეზიდენტი რომ გამხდარიყო, ქვეყანა სხვა გზით წავიდოდა. აღარ დატრიალდებოდა ის უბედურებები და აღარც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა იქნებოდა საჭირო.

გაჩეჩილაძე პოლიტიკიდან მალევე წავიდა, უსუფაშვილი ჩრდილშია. ივანიშვილი კი პოლიტიკურ მონსტრად გადაიქცა. მისი პოლიტიკაში შემოსვლა იყო შეცდომა.

– ახლა შეცდომაა ამბობთ, მაგრამ 2011 წელს მის გვერდით დადექით.

– დავდექი იმიტომ, რომ სააკაშვილმა სხვა გზა არ დაგვიტოვა. ამ ადამიანს ჰქონდა უზარმაზარი ფული. პოლიტიკაში ფული აუცილებელია. სხვანაირად საარჩევნო კამპანიას ვერ აწარმოებ. სხვა თუ არაფერი, პლაკატის დაბეჭდვა ხომ მაინც გინდა.

ივანიშვილს ჰქონდა ფული და მას ბევრი დაუდგა გვერდით. ასე მოვიცილეთ სააკაშვილი. რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვის.

– თუმცა დღეს თქვენ იმ გაერთიანებაში ხართ, რომელსაც სააკაშვილი უჭერს მხარს.

– ამის გამო უხერხულობას არ განვიცდი. დიახ, მე ვებრძოდი ნაციონალურ მოძრაობას. მათთან ბრძოლას ახლაც ვაგრძელებ.

– რანაირად?

– ვინც მიშას დროს საშინელებებს სჩადიოდა, ყველა „ოცნებაშია“ თავმოყრილი. აი, ასე ვებრძვი ნაციონალებს. 2012 წლის 1 ოქტომბერს ჩვენ ნაციონალები დავასრულეთ, მაგრამ ივანიშვილმა გააცოცხლა ისინი.

გადავხედოთ „ოცნებას“, როგორი ხალხია დაწინაურებული. ივანიშვილი მათ ნიშნავს თანამდებობებზე, ვინც მიშას უჯიბავდა ფულებს.

– გვარების დასახელება შეგიძლიათ?

– რა თქმა უნდა. ავიღოთ თუნდაც პრემიერი ბახტაძე. კაცი მიშას ფულებს უჯიბავდა, ბიძინამ კი მთავრობის მეთაურად დასვა.

– ნაციონალებს რომ შესწირა თანხა, ეგ გაქვთ მხედველობაში?

– ნაციონალები და მიშა ერთი არ იყო? ასეთ ხალხს სწყალობს ივანიშვილი. მის დასამარცხებლად დიდი ოპოზიციური გაერთიანებაა საჭირო. გაერთიანება უკვე არის და ბიძინაც უნდა მოემზადოს წასასვლელად.

– გაერთიანება 2008 წელსაც შედგა, მაგრამ, როგორც ირკვევა, ვიღაცები ხელისუფლებას მიეყიდნენ. რა გარანტია გაქვთ, რომ ახლაც იგივე არ მოხდება?

– ამის რისკები არის, მაგრამ ოპოზიციური გაერთიანება მაინც დიდი ძალაა. ეს ძალა 28 ოქტომბერს ივანიშვილს დაასრულებს.

გიგა ბუკია: „ქართული ოცნების“ პოზიცია ხალხმა ვერ აღიქვა“

მარიამ მჭედლიშვილი

„როგორც ფეხბურთის არბიტრი ვერ გაიტანს გოლს, ისე ქვეყნის პრეზიდენტი ვერ შეასრულებს ეკონომიკურ ან სოციალურ დაპირებებს“

არჩევნებამდე ორი თვით ადრე პრეზიდენტობის ყველა კანდიდატის ვინაობა ჯერ ცნობილი არ არის. „ქართულ ოცნებას“ ჯერ საკუთარი მხარდაჭერა არც ერთი დამოუკიდებელი კანდიდატისადმი არ გამოუხატავს. „ახალი თაობა“ ამ საკითხებზე ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის „კონსერვატორების“ ფრაქციის თავმჯდომარე გიგა ბუკიას.

– საზოგადოებაში არსებობს შიში, რომ „ქართული ოცნების“ ფარული ხელშეწყობით საპრეზიდენტო არჩევნებს მოიგებს ნაცმოძრაობის, ან მისი განაყოფი „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი. ბევრი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს გახდება არჩევნების შემდეგ დესტაბილიზაციის მიზეზი..

– ეს შიში უსაფუძვლოა. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ახლანდელი თუ ძველი ნაცმოძრაობის მიმართ ხალხის ცუდი დამოკიდებულება. ისინი ვერ მოაგროვებენ იმდენ ხმას, რომ თავისი კანდიდატი გაიყვანონ. ეს ოპოზიცია ვერც ერთ არჩევნებს ვერ მოიგებს.

– ფიქრობთ, რომ მმართველ პარტიაზე განაწყენებული ამომრჩეველი ნაციონალებს არ მიემხრობა?

– დარწმუნებული ვარ, რომ ნაციონალებს და მათგან გამოყოფილ პარტიებს ამომრჩევლის რაოდენობა არ ეზრდებათ. საზოგადოებას არც სააკაშვილის მმართველობის საშინელი წლები დავიწყებია. ხალხი ახლაც ხედავს, როგორ იქცევიან ყოფილი თუ ახლანდელი ნაციონალები. საკმარისი იყო, მათ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიაში უმრავლესობა მოეპოვებინათ, რომ მაშინვე თავისი ნამდვილი სახე აჩვენეს.

„ევროპული საქართველო“ ამ კომისიაში მუშაობისას ადამიანებს შეურაცხყოფს, ემუქრება. ამ ხალხმა როგორც კი ძალაუფლება იგრძნო, ტონალობა და ლექსიკაც შეიცვალა. მათ კანდიდატებს ხალხი ხმას არ მისცემს. ამდენად, ამ მიზეზით დესტაბილიზაცია გამორიცხულია. „ქართული ოცნება“ მალე დაასახელებს, ვის დაუჭერს მხარს.

– თქვენ, როგორც მმართველი პარტიის მოკავშირეს, როგორ გგონიათ, „ქართული ოცნების“ პოზიცია საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ არ აბნევს ამომრჩეველს?

– მმართველი პარტიის პოზიცია გასაგებია, მაგრამ ის ხალხმა კარგად ვერ აღიქვა. „ქართული ოცნება“ აპელირებს იმაზე, რომ იმ კონსტიტუციის შესაბამისად, რომელიც მალე შევა ძალაში, პრეზიდენტს აღარ აქვს ის უფლებები, რომლებსაც საზოგადოება წინა წლებში შეეჩვია. ის ვერ გასცემს დაპირებებს ეკონომიკურ, სოციალურ, მმართველობითი სისტემის სფეროებში. „ქართული ოცნება“ პარტიაა და ვალდებულია, წარმოადგინოს პროგრამა, დაპირებები. პრეზიდენტს აღმასრულებელი ფუნქციები არ გააჩნია და მმართველი პარტია საპრეზიდენტო არჩევნების წინ ხალხს ვერაფერს შეჰპირდება. თუ შეჰპირდება, ეს ტყუილი დაპირებები იქნება. შეუსრულებელი დაპირებები კარგი თემა იქნებოდა ოპოზიციისათვის. ოპოზიცია ამას დებატებისთვის გამოიყენებდა.

– ახლა ოპოზიცია და მისი კანდიდატები თვითონ აძლევენ ხალხს დაპირებებს.

– ეს ხალხის მოტყუებაა. როგორც ფეხბურთში არბიტრი ვერ გაიტანს გოლს, ისე პრეზიდენტი ვერ შეასრულებს ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა სახის დაპირებებს. მატჩის წინ მოგებაზე საუბრობენ მწვრთნელები. მსაჯი ვერც ამაზე ილაპარაკებს და ვერც იმას იტყვის, რომ გოლს გაიტანს, კარს დაიცავს და შეტევაზე გადავა.

უხეში შედარებაა, მაგრამ პრეზიდენტი თავისი ახალი უფლებამოსილებებით სწორედ მსაჯია. ის არის არბიტრი და დამბალანსებელი, რაც ასევე მნიშვნელოვანია. ასეთი ფუნქცია აქვს პრეზიდენტს საპარლამენტო მმართველობისას. მომავალში ასეთ პრეზიდენტს პირდაპირ აღარ ავირჩევთ.

– საპარლამენტო მმართველობაზე გადავდივართ, მაგრამ ხშირად გაიგონებ, რომ საქართველოში ნამდვილი პოლიტიკური პარტიები ვერ ჩამოყალიბდა, ვერ შეიქმნა პოლიტიკური ინფრასტრუქტურა. რა მოხდება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის?

– თუ ამას რომელიმე პოლიტიკოსი აცხადებს, მან თავის თავში უნდა ჩაიხედოს. ზოგს ჰგონია, რომ პოლიტიკური ლიდერის დანიშნულება ტელევიზიებში გამოჩენა და მმართველი პარტიის გინებაა. ზოგიერთი ხალხს არ ხვდება, საზოგადოებასთან არ ურთიერთობს და არც თავისი ხედვა აქვს ამა თუ იმ საკითხზე.

როცა ხელისუფლებისა არაფერი მოგწონს და თეთრზე შავს ამბობ, პრობლემის გადაწყვეტის გზა მაინც უნდა დაასახელო! თუ პარტია არჩევნებში რაღაც შედეგს აჩვენებს, მას ეძლევა უფასო საეთერო დრო, დაფინანსება ბიუჯეტიდან. ამ სახსრებითა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით პოლიტიკოსებს ხალხთან ურთიერთობა არ უნდა გაუჭირდეთ. რეგიონში თითო წარმომადგენელი რომ იყოლიონ, ეს არ არის რთული. პარტიების უსაზღვრო რაოდენობაც პრობლემაა. მსოფლიოში, ალბათ, პირველ ადგილზე ვართ პოლიტიკური ორგანიზაციების რაოდენობით.

– ამ პარტიების უდიდესი უმრავლესობა მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

– ეს პარტიები კოალიციებს ქმნიან. არის ერთი პარტია, რომლის სახელს არ ვიტყვი. მას ცნობილი და ამბიციური ლიდერი ჰყავს. ეს პარტია ბოლო საპარლამენტო არჩევნების დროს შევიდა ერთ კოალიციაში. ამ პარტიამ ამ არჩევნებზე 70-ზე ცოტა მეტი ხმა აიღო. ასეთმა პარტიებმა შეიძლება პრეტენზიები დააყენონ.

როცა ვამბობ, რომ ჩვენს თავში უნდა ჩავიხედოთ, ჩვენს პარტიას, კონსერვატორებსაც ვგულისხმობ. 2012 წლიდან ჩვენ „ქართულ ოცნებასთან“ შევედით კოალიციაში. ახლა უმრავლესობაში ვართ. ჩვენი შედეგი არაერთხელ ვაჩვენეთ. კონსერვატორების მიმართ მხარდაჭერა სხვა ბევრ პარტიაზე უკეთესი იყო. ყოველთვის კრიტიკულად ვუდგებით ჩვენს თავს და პარტიების სისუსტეს არავის ვაბრალებთ.

ლევან ბოძაშვილი: „მარგველაშვილმა უფლებამოსილებათა 95% ეფექტიანად ვერ გამოიყენა“

საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ ევროკავშირის ტექნოლოგიური ინოვაციების მკვლევართა ჯგუფის წევრს, კონსტიტუციონალისტ ლევან ბოძაშვილს ესაუბრა.

– საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები 28 ოქტომბერს ჩატარდება. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი არ დარეგისტრირებულა, წინასაარჩევნო კომპანია კარგა ხანია დაწყებულია. თქვენ როგორ შეაფასებდით საპრეზიდენტო არჩევნების წინ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას?

– ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ მოსახლეობა არ უნდა აფასებდეს კანდიდატს მხოლოდ პიროვნული მოწონება-არმოწონების თვალსაზრისით. მთავარი კანდიდატში არის სწორედ ის, თუ როგორ შეძლებს ის თავისი უფლებამოსილებების ეფექტურად გამოყენებას.

ოდნავ რომ გადავუხვიოთ, შევხედოთ, – არ გვაქვს შეფასებითი ინდექსები პრაქტიკულად არც ერთ სფეროში. მათ შორის არც სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის.

მაგალითად, არ ვიცით თუ რატომ ვერ მივაღწიეთ კონკრეტულ საგარეო პოლიტიკურ ამოცანას, პიროვნული ფაქტორის გამო თუ ობიექტური ფაქტორის გამო, თუ ორივეი ერთად. ჩვენ არ ვხსნით არც ერთ წარუმატებლობას ან წარმატებას მეთოდოლოგიურად.

ზუსტად ასევე არავის შეუფასებია საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის ინსტიტუტის ეფექტიანობა. გვინდოდა, რომ მარგველაშვილი უფრო ეფექტური ყოფილიყო? რატომ ვერ იყო? მხოლოდ პიროვნული ფაქტორის გამო? აქედან უნდა ამოვიდეთ.

აქვე რომ ავხსნა, უფლებამოსილებათა 95% მან ეფექტიანად, შედეგიანად ვერ გამოიყენა. მაგალითად, არც ერთხელ, 5 წლის განმავლობაში, მან შედეგიანად არ გამოიყენა ისეთი უფლებამოსილება, როგორიც არის მთავრობის სხდომაზე მნიშვნელოვანი საჭირბოროტო საკითხის დასმა და განხილვაში მონაწილეობა.

როგორც მახსოვს, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა 3 წერილი გაუგზავნა 2 სხვადასხვა მთავრობას და არც ერთზე პასუხი არ მიუღია, მაგრამ ერთხელაც კი არ გაუპროტესტებია ეს. არადა ეს კონსტიტუციის დარღვევაა.

ერთადერთი მის მიერ დადებულ ვეტოს ჰქონდა შედეგი მხოლოდ და ისიც იმიტომ, ტრაბახით ვერ ვიტყვი, მე ჩავერთე მასში. გამოდის, რომ მან ეფექტურად თავისი უფლებამოსილებები ვერ გამოიყენა საბოლოოდ.

ეს კი ნიშნავს, რომ თუ უმრავლესობასა და პრეზიდენტს შორის არ არის კონსტრუქციული თანამშრომლობის სულისკვეთება, საქმე ფუჭდება, კნინდება ინსტიტუტი და ირღვევა კონსტიტუცია. რა გამოდის? პრეზიდენტის ეფექტიანობისთვის საჭიროა უმრავლესობისთვის მისაღები იყოს საპრეზიდენტო კანდიდატი, რომ მან საქმე გააკეთოს. მარტივად რომ ვთქვათ, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ეს არის საპარლამენტო რესპუბლიკის მოცემულობა.

– მმართველი გუნდი აცხადებს, რომ მას საპრეზიდენტო კანდიდატი არ ეყოლება და ისინი, სავარაუდოდ, მხარს დამოუკიდებელ კანდიდატს დაუჭერენ. ამგვარ კანდიდატად აქამდე სალომე ზურაბიშვილი მოიაზრება, თუმცა „ქართულ ოცნებას“ ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

თქვენ როგორ შეაფასებდით იმას, რომ ერთი მხრივ მმართველი გუნდი საპრეზიდენტო არჩევნებზე თავის კანდიდატს არ დაასახელებს, ხოლო მეორე მხრივ იმას, რომ მოახლოებულ არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ მხარი სალომე ზურაბიშვილს დაუჭიროს?

– როგორ უნდა შევაფასო, როდესაც პირველმა სწორედ მე ვთქვი თქვენთან ინტერვიუში იანვარში, რომ „ოცნებას“ უალტერნატივო საკუთარი კანდიდატი ბიძინა ივანიშვილის გარდა არ ჰყავს. როგორც გამოჩნდა, მას არ სურს კენჭისყრა და, შესაბამისად, „ოცნება“ რომ კანდიდატს არ ასახელებს, ლოგიკურია.

ვნახოთ, რას ითხოვს კონსტიტუცია: იგი ითხოვს, რომ კანდიდატი არ უნდა იყოს პარტიული თანამდებობის მქონე. თუმცა წევრი რომ იყოს, არ არის პრობლემა, ეს არის კანდიდატის დამოუკიდებლობის კონსტიტუციური, ფორმალური ზღვარი. ამის შემდეგ უკვე კონკრეტულ კანდიდატზეა დამოკიდებული, რამდენად არ დაემორჩილება მმართველი პარტიის კონიუნქტურას უკვე როგორც პრეზიდენტი.

რა შეუძლია პოსტზე პრეზიდენტს გააკეთოს, ან გააფუჭოს? მაგალითად, საზოგადოებრივი ყურადღების მაქსიმალურ დონეზე ასწიოს ნებისმიერი პრობლემური საკითხი, დაადოს ვეტო ამ მიზნით, იყოს მუდმივად ყურადღების ცენტრში და გახდეს ალტერნატიული პოლიტიკური მიზიდულობის ცენტრი – ანუ მარტივად რომ ვთქვათ, გახდეს ოპოზიცია. არის კი ეს პრეზიდენტის ინსტიტუტის კონსტიტუციური დანიშნულება? არა.

ამ დროს კი, ყველა დღემდე წარმოდგენილი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი კანდიდატი სწორედ ამას ამბობს, გარდა სალომე ზურაბიშვილისა. ასეთი დაპირებების გაცემა კი პრეზიდენტის დანიშნულება არ არის.

გამოდის, რომ წარმოდგენილი კანდიდატების უმრავლესობა აპრიორი ჰპირდება ამომრჩეველს პრეზიდენტის ინსტიტუტის ბოროტად გამოყენებას. ამიტომაც, სავსებით ლოგიკური იქნება, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მხარი სალომე ზურაბიშვილს დაუჭიროს თუ დარჩენილ დროში ვინმე სხვა არ დასახელდა.

დამოუკიდებელი კანდიდატი არ ნიშნავს ოპოზიციურს, ხოლო ოპოზიციური არ ნიშნავს დამოუკიდებელს. ზოგადად, კონსტიტუციის მოთხოვნაა, რომ კანდიდატი არც ოპოზიციური უნდა იყოს და არც სახელისუფლებო. ასეთია ახალი ცვლილებებით პრეზიდენტის ინსტიტუტის კონსტიტუციური ბუნება.

– თქვენი დაკვირვებით, სავარაუდოდ, რა იქნება 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების მთავარი ინტრიგა?

– დაველოდოთ განაცხადების წარდგენის ბოლო ვადას – 8 სექტემბერს. არ გამოვრიცხავ, კიდევ დასახელდეს საინტერესო კანდიდატები.

– სენატორ მაკეინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ. საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ, აწგარდაცვლილ ამერიკელ სენატორზე უამრავი კომენტარი კეთდება ქართულ პრესასა და სოციალურ ქსელში.

ამ თემაზე წაკითხული, გარდა იმისა, რომ ჩვენი საზოგადოების უმადურობის კარგი მაგალითია, აშკარად აჩვენებს, რომ მაკეინის ლანძღვაში ადამიანები ანტიდასავლურ, ანტიამერიკულ განწყობებს და მასთან მიმართებაში უფრო რუსულ დამოკიდებულებას ავლენენ. ვგულისხმობ ამ დღეებში რუსულ პრესაში მაკეინის მიმართ მრავლად გამოთქმულ პრეტენზიებს – „მაკეინი ვიეტნამს მომბავდა“.

რას შეიძლება ნიშნავდეს ერთი მხრივ სენატორ მაკეინის მიმართ ჩვენი საზოგადოების ნაწილის მიერ გამოხატული უმადურობა, ხოლო იმავე ნაწილის მიერ რუსი ოკუპანტების მიმართ მოწიწება და პატივისცემა?

– ყველას აქვს უფლება მოსწონდეს ან არ მოსწონდეს ვინმე და გამოხატოს ეს. თუმცა, ფაქტია და ამას ვერ უარვყოფთ, რომ ამერიკის ისტებლიშმენტში არასდროს საქართველოს ისეთი აქტიური მხარდამჭერი არ ჰყავდა, როგორიც სენატორი მაკეინი იყო. შეგვიძლია ასეთი მხარდამჭერის რომელიმე დროის რუსულ ისტებლიშმენტში პოვნა? რა თქმა უნდა, არა. ვფიქრობ, ამით ყველაფერი ნათქვამია.

„ინტერპრესნიუსი“

მამუკა ბახტაძე საკურორტო ზონების მომზადების დონით უკმაყოფილოა და შესაბამის პირებს „ბოლო გაფრთხილებას“ აძლევს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე საკურორტო ზონების მომზადების დონით უკმაყოფილოა. როგორც ბახტაძემ მთავრობის სხდომაზე განაცხადა, იგი ბოლო გაფრთხილებას აძლევს შესაბამის პირებს ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად.

– ჩვენ არ ვართ კმაყოფილი იმ მზადყოფნით, რაც გვქონდა ჩვენ კურორტებზე ზაფხულში. არ ვართ კმაყოფილი ბაკურიანის და გუდაურის მომზადების დონით, რომელიც ჩვენ ვიხილეთ ზამთარში. ამასთან ერთად, კარგად გვესმის და გვახარებს, რომ ტურისტების რაოდენობა იზრდება მკვეთრად, მაგრამ ეს არ არის არგუმენტი იმისთვის, რომ კურორტები არ იყოს მზად ნაკადის მისაღებად. აქედან გამომდინარე, ყველა იმ ადამიანს, რომელიც ფიზიკურად არის ჩართული ინფრასტრუქტურის

მოწესრიგებასა და მზადყოფნის ხარისხის უზრუნველყოფაში, მათთვის ბოლო გაფრთხილებაა, – განაცხადა ბახტაძემ.

მანვე ისაუბრა იმ პროექტებზე, რომლებიც საკურორტო ზონებში ხორციელდება.

– მთავრობის სხდომაზე განვიხილავთ დამატებით დაფინანსების გამოყოფის საკითხს, რომ საკურორტო ზონაში ჩვენი ინფრასტრუქტურა იყოს კიდევ უფრო მოწესრიგებული. მოეწყობა კობი-გუდაურზე ზვავსაწინააღმდეგო დროებითი სისტემა. რეაბილიტაცია ჩაუტარდება დაბა ურეკის ძველ ბულვარს, ხოლო ახალი ბულვარის მშენებლობისთვის დაიწყება სამშენებლო სამუშაოები. ამავე დროს, რეაბილიტაცია ჩაუტარდება დაბა ბაკურიანში ცენტრალურ წრიულ საფეხმავლო ბილიკს. ბაკურიანი უნდა ჩამოყალიბდეს ოთხსეზონიან კურორტად. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტები უნდა დასრულდეს ძალიან მალე. ქობულეთში ნაპირდაცვითი სამუშაოები განხორციელდება. ამ პროექტების

ჯამური ღირებულება დაახლოებით არის 20 მილიონი ლარი. ამბროლაურში ვიყავი, რაჭაში ინფრასტრუქტული პროექტები ხორციელდება ვადებში და კარგად, თუმცა მნიშვნელოვანია ადგილობრივი გზების რეაბილიტაცია კიდევ უფრო მასშტაბურად წარიმართოს. მთავრობაზე განვიხილავთ საკითხს, რომლის მიხედვითაც რეაბილიტაცია ჩაუტარდება 12 მუნიციპალიტეტის გზებს, რომლის ბიუჯეტი 80 მილიონ ლარზე მეტია, – განაცხადა ბახტაძემ.

მამუკა ბახტაძე: „ეროვნულმა ბანკმა ძალიან მაღალი პროფესიონალიზმი გამოიჩინა“

ეროვნულმა ბანკმა კიდევ ერთხელ გამოიჩინა ძალიან მაღალი პროფესიონალიზმი, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ ბრიფინგზე ლარის კურსთან მიმართებაში ეროვნული ბანკის ქმედებებსა და მყარი შიდა ეკონომიური მდგომარეობის მისაღწევად მთავრობის გეგმებთან დაკავშირებით ჟურნალისტების კითხვის პასუხად განაცხადა.

მისი თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკა გაიზარდოს არა მხოლოდ მდგრადი კონტექსტით და ინკლუზიურად, არამედ, ამავე დროს, საქართველოს ეკონომიკის მოწყვლადობის დონე შემცირდეს, მათ შორის საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით.

პრემიერის შეფასებით, ამ მიმართულებით ქვეყანაში ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესია.

– რაც შეეხება ლარის კურსსა და ეროვნული ბანკის ქმედებებს ამ საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობ, ეროვნულმა ბანკმა კიდევ ერთხელ გამოიჩინა ძალიან მაღალი პროფესიონალიზმი. ამავე დროს, ჩვენი ამოცანა, რომ ერთი მხრივ, ვიყოთ ყველაზე ეფექტიანად ინტეგრირებული გლობალურ ეკონომიკაში, მაგრამ ამასთან ერთად, ქვეყანაში მოწყვლადობის დონე საგარეო ფაქტორების მიმართ აუცილებლად უნდა შევამციროთ, ეს ორივე ამოცანა არ არის ადვილი, მაგრამ ურთიერთთავსებადია, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

როგორც მამუკა ბახტაძემ აღნიშნა, ბევრი არგუმენტი მოუსმენია, რომ ორივე მიზნის მიღწევა ერთად წარმოუდგენელია, თუმცა, პრემიერის თქმით, ეს რეალობას არ შეესაბამება და ამის ძალიან კარგი მაგალითია უკანასკნელი დღეების განმავლობაში განვითარებული მოვლენები.

ამასთან, როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ტურიზმის სფეროში ახალ ინიციატივებს მთავრობა შემოდგომაზე წარმოადგენს.

ლარი გასულ კვირაში გაუფასურდა. სავალუტო ჯიხურებსა და ბანკებში ერთი აშშ დოლარის ფასმა 2.63-2.68 ლარს მიაღწია. მიმდინარე კვირაში კი, ლარის გამყარების ტენდენცია შეინიშნება, ეროვნული ბანკის მიერ გუშინ დადგენილი ოფიციალური კურსით 1 აშშ დოლარი 2.5773 ლარი ღირს.კომერსანტი

კომერსანტი

სააკაშვილი: „საქართველოს რკინიგზა ჩემ დროს იქცა ზემომგებიან საწარმოდ“

საქართველოს მესამე პრეზიდენტი და ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს რკინიგზის შემოსავლებთან და ზარალთან დაკავშირებით, თავის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე კომენტარს აკეთებს და აღნიშნავს, რომ ზარალი, რომელიც რკინიგზამ გასულ წელს იწვნია, ბიძინა ივანიშვილის ქმედებებით არის გამოწვეული.

– რკინიგზა ჩემ დროს იქცა ზემომგებიან საწარმოდ და მისი კაპიტალიზაცია მილიარდ დოლარამდე გავზარდეთ.

როგორ? ისე, რომ არ ვიპარავდი და არ ვაპარინებდი... ივანიშვილმა ჯერ კაპიტალიზაცია ათჯერ შეამცირა და ახლა ზარალზე დასვა. რატომ? იმიტომ, რომ ის და მისი „საყვარელი დეიდაშვილი“ ყველაფერს იპარავს. ამ დრამის შემდეგი აქტი იქნება აფხაზეთის მონაკვეთის გახსნა და ამას დაასაბუთებენ დანარჩენი რკინიგზის შემცირებული მონაცემებით.

სასწრაფოდ უნდა მოვაშოროთ ეს ხალხი მართვის სადაგეებს, – წერს სააკაშვილი.

ცნობისთვის, საქართველოს რკინიგზამ გასული წელი 354.1 მლნ ლარის ზარალით დაასრულა.

ირაკლი კოვზანაძე: „ჩვენი და სავალუტო ფონდის პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკური ზრდა დაგეგმილზე მაღალი იქნება“

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მიერ ეკონომიკური ზრდის პროგნოზის გაუმჯობესება ჩვენს მოლოდინებს დაემთხვა, – განუცხადა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი კოვზანაძემ ჟურნალისტებს ეროვნულ ბანკში გამართულ საკოლექციო მონეტის პრეზენტაციაზე.

– როგორც მოგეხსენებათ, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მშპ-ის 5%-იან ზრდაზე დაიგეგმა. თუმცა, მაღალი ეკონომიკური აქტივობისა და მიმდინარე მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით, ვპროგნოზირებდით, რომ ზრდა დაგეგმილთან შედარებით მაღალი იქნებოდა. ჩვენი მოლოდინი გამართლდა – ექვსი თვის მონაცემებით, მშპ-ის ზრდამ 5,7%-ს მიაღწია. მნიშვნელოვანია, რომ სავალუტო ფონდის მისიამაც გადახედა თავის პროგნოზს და 5,5%-მდე ასწია, – განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი გასულ წელთან შედარებით დაბალია, ხოლო ინფლაციის დონე მიზნობრივთან შედარებით მკვეთრად შემცირდა. ირაკლი კოვზანაძის თქმით, გაუმჯობესებული მაჩვენებლები მთავრობის, პარლამენტისა და ეროვნული ბანკის კოორდინირებული მუშაობის შედეგია.

სსფ-ის მისია მერსედეს ვერამარტინის ხელმძღვანელობით, საქართველოში გასულ კვირას იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში, უცხოელი ექსპერტები მთავრობის ეკონომიკურ გუნდს, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარესა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტს შეხვდნენ.

გიორგი ქობულია საკუთარ შვებულებასთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების ახალი მინისტრი გიორგი ქობულია საკუთარ შვებულებასთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს.

ქობულიას თქმით, ის ევროპის ერთ-ერთ ქალაქში იმყოფება, თუმცა სამინისტროს თანამშრომლებთან აქტიური კონტაქტი აქვს. მისივე განმარტებით, მას ყოფილ სამსახურთან დაკავშირებით გარკვეული პროცესები აქვს დასასრულებელი, ასევე, მინისტრი ამბობს, რომ მას საკუთარ ჯანმრთელობის საკითხზეც უწევს სხვა ქვეყანაში ყოფნა.

– რაც მინისტრად დავინიშნე, ნახევარზე მეტი ვიმუშავე და ნახევარი მომიწია, ასე ვთქვათ, შვებულება, მაგრამ აქედან მაქვს კონტაქტი ჩემს ხალხთან და მაქსიმალურად ვცდილობ, რომ საკითხები გადავწყვიტო. მე რომ მცოდნოდა, რომ მინისტრად ვდგებოდი არა ივლისში, არამედ მაისში, მაშინ, რა თქმა უნდა, ასეთი საკითხი არ იდგებოდა. რადგან გადაწყვეტილება მოხდა ძალიან სწრაფად, მე უკვე ვეღარ შევცვალე ბევრი რაღაცები. ჯანმრთელობასთან მქონდა კიდევ რაღაცები დაკავშირებული, რაც უნდა დავასრულო, – განაცხადა ქობულიამ „კურიერთან“ სატელეფონო საუბრისას.

გიორგი ქობულია უკვე ორი კვირაა საჯარო სივრცეში არ ჩანს. ქობულია არ დასწრებია ასევე, ანგელა მერკელის ვიზიტსაც საქართველოში.

კომერსანტი

კობა გვენეტაძე: „მიუხედავად იმისა, რომ გაზრდილია რისკები რეგიონში, სსფ-მა გაითვალისწინა ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა“

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კობა გვენეტაძის შეფასებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დასახელებული ეკონომიკური ზრდის პროგნოზის 5,5%-იანი მაჩვენებელი ახლოს არის ეროვნული ბანკის მიზნობრივ მაჩვენებელთან. მისი თქმით, იმის მიუხედავად, რომ გაზრდილია რისკები რეგიონში, სსფ-მა გაითვალისწინა ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა და ზრდის პროგნოზი გაზარდა.

– იმის გათვალისწინებით, რომ მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკურმა პრობლემებმა შესაძლოა ასახვა ჰპოვოს ჩვენ ეკონომიკაზე, ისევე, როგორც ადრე, ფონდის პოზიციაა, რომ აუცილებელია მცურავი გაცვლითი კურსის შენარჩუნება. მცურავი გაცვლითი კურსი აუცილებელია იმისთვის, რომ საქართველოს ეკონომიკის მდგრადობა ასეთი შოკების მიმართ იყოს გაზრდილი და ამ შოკების გადატანა მოხდეს მაქსიმალურად მცირე დანაკარგებით. სსფ ასევე მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია რეზერვების დაგროვება, რასაც უკვე ახორციელებს ეროვნული ბანკი და ამას მომავალშიც გააგრძელებს.

ასევე, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ ხდება მონეტარული პოლიტიკის ნორმალიზება, რაც ყოველთვის ისახება ჩვენნაირ ქვეყნებზე, – განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

მისი თქმით, წლიური ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს ეროვნული ბანკი კვლავინდებურად 3%-ზე ინარჩუნებს.

– შესაძლოა, რომ ინფლაციის მაჩვენებელი იყოს 3%-ზე ქვევით, ზოგჯერ 3-ზე ზემოთ, მაგრამ საშუალოვადიან პერიოდში ეს იქნება 3%-თან ახლოს, – აცხადებს კობა გვენეტაძე.

თბილისის მერიამ კუს ტბასთან ტყეში სამშენებლო სამუშაოები შეაჩერა

კუს ტბის მიმდებარე ტყეში სამშენებლო სამუშაოები შეწყდა. შემთხვევის ადგილზე თბილისის მერი კახა კალაძეც მივიდა. ამის შესახებ მან ვიდეომიმართვაში ილაპარაკა.

როგორც კალაძემ განმარტა, ცხელ ხაზზე მოქალაქეებმა დარეკეს, ხოლო ზედამხედველობის სამსახურმა შესაბამისი რეაგირება მოახდინა.

– კუს ტბის ტყეში უნებართვოდ ხორციელდებოდა მიწის საძირკვლის ამოღების სამუშაოები. ზედამხედველობის სამსახურში შემოვიდა ზარი და მაშინვე მოხდა ჩვენი მხრიდან რეაგირება. ამ ადგილზე სამშენებლო ნებართვა ადრე იყო გაცემული, რომელიც შემდეგ გაბათილდა. ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია ასეთ ადგილებზე მსგავსი პროექტების განხორციელება. როგორც ვიცი, აქ უნდა აშენებულიყო სასტუმრო, თუმცა ეს არის კუს ტბის ტყე და აქ სასტუმროს მშენებლობა კატეგორიულად მიუღებელია. მესმის მესაკუთრის, ვისაც ეს მიწა თავის დროზე აქვს ნაყიდი, ისიც არ უნდა დავაზარალოთ. ამიტომ, მოადგილეებს ვავალებ, რომ დღესვე დაუკავშირდნენ მეპატრონეებს და დაიწყონ ადგილმონაცვლეობაზე საუბარი. ჩვენ მომხრე ვართ ქალაქის განვითარების, მშენებლობის, მაგრამ არა ისეთ ადგილებზე, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქალაქისთვის და მწვანე სივრცეების განვითარებისთვის. რაც შეეხება სანქციებს, მერია კანონის ფარგლებში იმოქმედებს, – განაცხადა კახა კალაძემ.

კუს ტბასთან მდებარე ტყეში, სადაც შპს „არმლენდერ ასოშიეთსი“ უკანონო სამუშაოებს აწარმოებდა, მძიმე ტექნიკამ მუშაობა უკვე შეწყვიტა.

მაჭავარიანი: „მიმაჩნია, რომ ანტიდემპინგური კანონმდებლობა ჩვენს არსენალში უნდა იყოს“

საქართველოს მთავრობაში ანტიდემპინგურ კანონზე მუშაობენ. ფინანსთა მინისტრის, ივანე მაჭავარიანის თქმით, „ეს იარაღი საქართველოს არსენალში უნდა იყოს“. ანტიდემპინგი საგარეო ვაჭრობის შემზღუდველ ნორმებს მოიცავს, რომლებიც უცხოურ კომპანიებს ბარიერს უწესებს, რათა მათ ის პროდუქცია, რომელიც ქვეყნის შიგნითაც იწარმოება, სავარაუდო თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად არ გაყიდონ. ფინანსთა მინისტრმა ანტიდემპინგური კანონის შესახებ ტაბულასთან ისაუბრა.

– ეკონომიკის სამინისტრო მუშაობს ამ კანონმდებლობაზე. როგორც იცით, ბოლო პერიოდში მსოფლიოში საკმაოდ დაიძაბა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები. გახშირდა კიდეც ტერმინი „სავაჭრო ომი“ თუმცა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენ ამ ომს ავცდებით, მაგრამ მათ შორის ანტიდემპინგური კანონმდებლობა იქნება ერთ-ერთი ინსტრუმენტი რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ. თუმცა ეს არ არის აუცილებელი ინსტრუმენტი და მინდა გითხრათ, რომ რაც შეეხება ანტიდემპინგურ კანონმდებლობას, ქვეყნებში, სადაც ის მოქმედებს, საკმაოდ რთული და ძნელი ხდება დემპინგის ფაქტის დამტკიცება. ეს არ არის იოლი საქმე და მხოლოდ კანონმდებლობა ვერ გადაჭრის ამ საკითხს. თუმცა ეს ინსტრუმენტი, ეს იარაღი მიმაჩნია, რომ ჩვენს არსენალში უნდა იყოს, – ამბობს მაჭავარიანი.

დემპინგის აკრძალვის დროს მოსახლეობა ზარალდება, რადგანაც ისინი უცხოური პროდუქციის შეღავათიან ფასად ყიდვის საშუალებას კარგავენ, მოგებულ მდგომარეობაში კი ადგილობრივი კომპანიები რჩებიან, რომლებიც აღნიშნულ საქონელს შედარებით ძვირად აწარმოებენ. ამ დროს მოსახლეობას მხოლოდ ადგილობრივი და შედარებით ძვირიანი პროდუქციის ყიდვის ალტერნატივა აქვს, რაც მათი მსყიდველუნარიანობის შემცირებას იწვევს.

ანტიდემპინგური კანონმდებლობის მიღება ქვეყანაში ბიზნესგარემოსთვის ახალი რეგულაციის დაწესება იქნება, რომელიც კონკრეტულ კომპანიებს სახელმწიფოს მხრიდან პროტექციონისტულ მდგომარეობაში ჩააყენებს. ანტიდემპინგური კანონმდებლობა შესაძლოა ბუნდოვანიც იყოს, რაც შეიძლება კანონის ნორმების ფართოდ განმარტებისა და, შედეგად, კომპანიებისთვის ახალი ფინანსური ბარიერის შექმნის ტოლფასი გახდეს.

საქართველოს მიერ დემპინგის აკრძალვა, სავარაუდოდ, საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნის პოზიციას გააუარესებს. მაგალითად, Heritage Foundation-ის ბიზნესის თავისუფლების ინდექსში საქართველოს მსოფლიოს მასშტაბით მე-16 ადგილი უჭირავს. საქართველოს ყველაზე მაღალი ქულა სწორედ ვაჭრობის თავისუფლების კრიტერიუმში აქვს, რადგანაც ქვეყანაში არ არსებობს ვაჭრობის შემზღუდველი ნორმები. ბიზნესის თავისუფლების ინდექსის მეთოდოლოგიის მიხედვით, ქვეყნების შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია ანტიდემპინგური ნორმების არსებობა. ახალი რეგულაციის მიღების შემთხვევაში, მაღალი ალბათობით საქართველო ინდექსში ჩამოქვეითდება, რაც საერთაშორისო ინვესტორთა განწყობაზე ნეგატიურად აისახება.

ტაბულას კითხვაზე, არის თუ არა მთავრობა მზად, რომ ამ ცვლილების შედეგად, ბიზნესის სიმარტივის რეიტინგებში საქართველოს პოზიცია გაუარესდეს, მაჭავარიანმა უპასუხა:

– არც ერთ რეგულაციას არ მივიღებთ ისეთს, რაც არ იქნება ერთი მხრივ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ხოლო მეორე მხრივ, ეწინააღმდეგებოდეს ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილ თამაშის წესებს.

კომპანიები ზოგიერთ შემთხვევაში საქონელს მის თვითღირებულებასთან მიახლოებულ ფასადაც ყიდიან, რაც მრავალ მიზანს, მათ შორის, მომხმარებლების მოზიდვას, ფინანსური დანაკარგის თავიდან არიდებას და ა.შ. შეიძლება მოიცავდეს. ასევე საკმაოდ რთულია იმის დადგენა, თუ რა წარმოადგენს დემპინგურ ფასს.

„ქართულ ოცნებაში“ დემპინგის აკრძალვასთან დაკავშირებით წარსულში კონსენსუსი არ იყო. დემპინგის აკრძალვის აქტიური მხარდამჭერი იყო ვიცე-პრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი. მის დროს ეკონომიკის სამინისტრომ კანონმდებლობის მონახაზი შეიმუშავა, თუმცა მისი ინიცირება არ მოუხდენია.

კომერსანტი

თბილისში 10 ლითონის საფეხმავლო ხიდი რეაბილიტირდა

თბილისში ქვეითებისთვის განკუთვნილი საფეხმავლო ლითონის ხიდების ნაწილს რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია უკვე ჩაუტარდა. როგორც „კომერსანტს“ დედაქალაქის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურში განუცხადეს, ამჟამად თბილისის მასშტაბით 10 საფეხმავლო ლითონის ხიდი რეაბილიტირდა.მოხდა როგორც ხიდების დაზიანებული ნაწილის შეკეთება, შეღებვა, ასევე სახურავების გამოცვლა და ხიდების განათება.

რეაბილიტირებული ხიდების ჩამონათვალი შემდეგია:

- დიდუბის რაიონში – დიდუბის პანთეონთან, მეტროსადგურ დიდუბესთან;
- სანზონაში – ქსნის ქუჩისა და გურამიშვილის გამზირის კვეთაზე;



- დიღომში – საქალაქო სასამართლოს შენობის მიმდებარედ;
- დიღმის მასივში – რობაქიძის გამზირზე ორ ადგილზე;
- მერიის შენობის მიმდებარედ;
- ვაჟა-ფშაველას გამზირზე – სამედიცინო უნივერსიტეტის მიმდებარედ;
- ალექსანდრეყაზბეგის გამზირზე – წითელი ბაღის მიმდებარედ;
- ნაძალადევის რაიონში – მე-4 საჯარო სკოლის მიმდებარედ;

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ოთხი საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაცია კახეთის გზატკეცილზე, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე. სამომავლოდ კი კიდევ 6 ხიდის რეაბილიტაცია იგეგმება.

სრულად დედაქალაქში არსებული 53 ლითონის ხიდის რეაბილიტაცია მოხდება. თუმცა, როგორც „კომერსანტს“ მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურში განუცხადეს, ამ ეტაპზე დარჩენილი 43 ხიდის რეაბილიტაცია/მოდერნიზაციის დასრულების ზუსტი თარიღი უცნობია.

რაც შეეხება ბიუჯეტს, იმისათვის, რომ თანხების საბოლოოდ დათვლა მოხდეს, პროექტის პირველი ეტაპი უნდა დასრულდეს.

ამჟამად ლითონის საფეხმავლო ხიდების რეაბილიტაცია/მოდერნიზაციას სატენდერო კომპანია „თბილ უნივერსალ მშენი“ ახორციელებს. სამომავლოდ კი ელექტრონული ტენდერი შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე გამოცხადდება და მასში მონაწილეობას სხვა კომპანიებიც მიიღებენ.

თბილისის მერიამ დედაქალაქის მასშტაბით არსებული ყველა საფეხმავლო ლითონის ხიდის გამაგრება-რეაბილიტაცია ეტაპობრივად, მიმდინარე წლის აპრილიდან დაიწყო.

კომერსანტი

რას გულისხმობს და ვის ეხება სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 100%-დან 50%-მდე შემცირება

ეკონომისტები განმარტავენ, რას გულისხმობს სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 100%-დან 50%-მდე შემცირება. საუბარია სესხის გამცემი ორგანიზაციებისთვის იმ წესის ცვლილებაზე, რომელიც 1-ელი სექტემბრიდან შედის ძალაში. „არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის“ ხელმძღვანელი ირაკლი ბერძენაძე ამბები.გე-სთან საუბარში განმარტავს, რომ ახალი რეგულაციები ლომბარდის, ონლაინ სესხებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ნაწილის მომხმარებლებისთვისაა კარგი ცვლილება. ბერძენაძის განცხადებით, დადგენილება საბანკო სექტორის კლიენტებისთვის ბევრს არაფერს შეცვლის.

– თუ დავყოფთ ფინანსური სექტორის მომხმარებლებს საბანკო სესხებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომხმარებლებად, საბანკოსთვის არაფერი არ იცვლება, რადგან ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არც საკრედიტო ბარათის, არც იპოთეკური ან სამომხმარებლო სესხის შემთხვევაში 50%-ს არ აჭარბებს. საკრედიტო ბარათის შემთხვევაში 36-42 პროცენტამდე მერყეობს, რაც ნამდვილად ნაკლებია 50%-ზე.

ვითარება იცვლება ონლაინ სესხების მომხმარებლებისთვის იმიტომ, რომ მთელ რიგ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი მათ 50%-ზე ბევრად მაღალი აქვთ. ასევე ბაზარზე საკმაოდ დიდია იმ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც ე.წ. ყოველდღიურ სესხებს გასცემენ. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მათ მომხმარებლებსაც შეუმცირდებათ, შესაბამისად კი სესხი გაუიაფდებათ, – აცხადებს ბერძენაძე.

„საზოგადოება და ბანკების“ საბანკო პროდუქტების ექსპერტის ანი ალიბეგაშვილის განცხადებით, სესხის აღებისას ფინანსური ორგანიზაციის მიერ ხდება წლიური და ეფექტური საპროცენტო განაკვეთების დაანგარიშება და ეს ორი მაჩვენებელი ერთმანეთისგან განსხვავდება.

– ახალი რეგულაციებით სწორედ ეს ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ანუ მომხმარებლის მიერ სესხის აღებისას გაწეული ნებისმიერი სახის ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს. კომერციული ბანკების შემთხვევაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მხოლოდ სალომბარდე სესხების შემთხვევაში იყო 50%-ზე მაღალი და 97-98% იყო. შესაბამისად, სექტემბრიდან ბანკებს ამ განაკვეთის შემცირება მოუწევთ. სამომხმარებლო, იპოთეკური და სხვა სახის სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემცირება კი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ნაწილსა და ონლაინ-გამსესხებლებს დასჭირდებათ. როგორც უკვე აღვნიშნე, ბანკების შემთხვევაში ამ ტიპის სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 50%-ს ისედაც არ აღწევდა. ეს ცვლილება შეეხება მხოლოდ იმ მომხმარებლებს, რომლებიც სექტემბრიდან გააფორმებენ რომელიმე საფინანსო ორგანიზაციასთან ხელშეკრულებას. უკვე არსებულ გრძელვადიან ვალდებულებებზე, რა თქმა უნდა, არანაირი საპროცენტო განაკვეთების შემცირება არ მოხდება, – განმარტავს „საზოგადოება და ბანკების“ საბანკო პროდუქტების ექსპერტი ანი ალიბეგაშვილი.

იპნ

მიხეილ დუნდუა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა

მიხეილ დუნდუა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა. მან გიორგი თაბუაშვილი შეცვალა.

მიმდინარე წლის 1 მაისიდან დღემდე დუნდუა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე იყო და პარალელურად სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელობდა. მანამდე იგი თსუ-ის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი იყო.

კომერსანტი

თბილისში აბრების ნებართვის გარეშე განთავსება დასჯადი ხდება

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევა და გარე რეკლამის განთავსება შესაბამისი ნებართვის გარეშე დასჯადი ხდება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, დედაქალაქში რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 1.000 ლარის ოდენობით. რეკლამის განთავსება შესაბამისი ნებართვის გარეშე კი გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 3.000 ლარის ოდენობით, რასაც მოჰყვება უკანონო გარე რეკლამის საშუალების კონფისკაცია.

იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების დარღვევა დადგენილ ვადაში ვერ აღმოიფხვრა, ჯარიმა გასამმაგდება.

ამასთან, კოდექსს ემატება რეკლამის განთავსებაზე კიდევ რამდენიმე მუხლი. კერძოდ, თბილისში რეკლამის დაკვეთისათვის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1.000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას - 3.000 ლარის ოდენობით. ერთი წლის განმავლობაში ჩადენილ განმეორებით ფაქტზე ფიზიკური პირი 5.000 ლარის ოდენობით დაჯარიმდება, ხოლო იურიდიული პირი 7.000 ლარით.

დასჯადი ხდება აბრის განთავსებაც. ამ შემთხვევაშიც ფიზიკური პირი 1.000 ლარით დაჯარიმდება, იურიდიული პირი 3.000 ლარით. ერთი წლის განმავლობაში ჩადენილი იგივე ქმედების გამო კი ფიზიკურ პირს 2.000-ლარიანი ჯარიმა დაეკისრება, იურიდიულს კი 6.000-ლარიანი.

დასჯადი ხდება არასათანადო რეკლამის განთავსებაც. აქაც პირველ ჯერზე ჯარიმა იურიდიული პირისთვის 3.000 ლარს შეადგენს, ფიზიკურზე – 1.000 ლარს. განმეორებითი იგივე ფაქტის ჩადენა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას 6.000 ლარის ოდენობით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესული აღნიშნული ცვლილებები უკვე ამოქმედდა. 28 აგვისტოდან იმ პირის მიმართ, რომელიც რეკლამის განთავსების შესახებ წესებს დაარღვევს, საჯარიმო სანქციები გატარდება.



გოგონა, რომელიც 23 წლის ირანელმა გააუპატიურა, თბილისიდანაა

რა მოხდა ანაკლიის საოჯახო სასტუმროში

რამდენიმე დღის წინ ანაკლიაში ახალგაზრდა ქალი გააუპატიურეს.

შემთხვევა მუსიკალური ფესტივალის დასრულების შემდეგ, ერთ-ერთ საოჯახო სასტუმროში მოხდა.

ადგილობრივები იხსენებენ, რომ ხმაური ერთ-ერთი ნომრიდან შემოესმათ, ახალგაზრდა ქალი შველას ითხოვდა. ხმაურის შემდეგ ირანის მოქალაქემ მისი ოთახი დატოვა.

გაუპატიურებული ქალი თბილისიდანაა. ის ფესტივალზე მეგობრებთან და დეიდაშვილთან ერთად იყო.

ჯერჯერობით უცნობია, რა ინფორმაცია მიაწოდა მან გამოძიებას. ანაკლიის პოლიციაში რამდენიმე ადამიანი 27 აგვისტოსვე დაკითხეს.

28 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1995 წელს დაბადებული ირანის მოქალაქე ბათუმის აეროპორტში დააკავა.

პოლიციის ინფორმაციით, მან 27 აგვისტოს სოფელ ანაკლიაში სექსუალური კავშირი თ.ტ-სთან, მისსავე დროებით საცხოვრებელ ბინაში იძულებით დაამყარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

გამოძიება გაუპატიურების ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით მიმდინარეობს. ახალგაზრდა გოგონას უკვე ჩაუტარდა ექსპერტიზა.

ხუთმა ნიღბიანმა ფირუზ ცეცხლაძეს ვაშლიჯვარში ბმვ იქს 5 გასტაცა

„90-იან წლებში დავბრუნდით“

ხუთმა შეიარაღებულმა ნიღბიანმა თბილისის ცენტრიდან დღის 3 საათზე მფლობელს ძვირადღირებული მანქანა გასტაცა. შემთხვევა უამრავი თვითმხილველის თვალწინ მოხდა.

ახალგაზრდა მამაკაცს თავდამსხმელებმა იარაღი შუბლზე დაადეს, მოკვლით ემუქრებოდნენ, ბმვ იქს 5-დან გადმოსვეს და მისივე ავტომობილით მიიმალნენ.

დაზარალებულმა ფირუზ ცეცხლაძემ თავდასხმისას წართმეული ნივთებიდან ვერაფერი დაიბრუნა, ბათუმიდან თბილისში გასაყიდად ჩამოყვანილი მანქანა კი 17 აგვისტოს შემდეგ საერთოდ გაქრა.

ფირუზ ცეცხლაძის თქმით, მისი ისტორია 1990-იან წლებში დაბრუნებას ჰგავს.

ბათუმელ ფირუზ ცეცხლაძეს თბილისიდან მამაკაცი შეუთანხმდა, რომ მისგან მანქანას იყიდდა. ჩამოიყვანა დედაქალაქში, ავტომობილი გადააფორმებინა, შემდეგ კი უთხრა, რომ ფულს სახლში მისცემდა. ვაშლიჯვარში თანხის ასაღებად მისულ ავტომფლობელს კი უკვე ხუთი შეიარაღებული ნიღბიანი დაახვედრა და მანქანა გაიტაცეს.

სიცოცხლის ხელყოფის მუქარით და სიტყვიერი შეურაცხყოფით ცეცხლაძე და მისი ბიძა ავტომობილიდან ჩამოსვეს და იქვე დატოვეს.

დაზარალებული იხსენებს, რომ ხუთი თავდამსხმელიდან ნიღაბი მხოლოდ სამს ეკეთა. ორს კი სახე ცხვირსახოცით ჰქონდა დაფარული. ცეცხლაძის ინფორმაციით, ის ორი მისი ნაცნობები იყვნენ, მათ შორის ერთ-ერთი სწორედ ის პირი, რომელსაც რამდენიმე საათის წინ მანქანა გადაუფორმა.

პოლიცია ცეცხლაძის მანქანის ყაჩაღურად გატაცების საქმეს, თითქმის, ორი კვირაა, იძიებს. თავდამსხმელებიდან მხოლოდ ორი პირია დაკავებულია, გატაცებული მანქანის კვალი კი არ ჩანს.

დაზარალებულებს გამოძიების მიმართ პრეტენზიები აქვთ. მათი თქმით, სამართალდამცველები მათი დაყაჩაღების საქმეს არასათანადო ყურადღებას უთმობენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში დაზარალებულების პრეტენზიებს არ იზიარებენ და ამტკიცებენ, რომ ავტომობილის და სხვა თავდამსხმელების ადგილსამყოფელის დასადგენად საგამოძიებო მოქმედებებს ატარებენ.

რუსთავი 2

სასამართლომ ხორავას საქმეზე ცრუ ჩვენების ბრალდებით დაკავებული არასრულწლოვანი პატიმრობაში დატოვა

ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე დაკავებული არასრულწლოვანის დ.ღ.-ს საქმის არსებით განხილვას სასამართლო 11 სექტემბრიდან დაიწყებს.

გუშინ, 29 აგვისტოს, სასამართლომ ბრალდების მხარის დამატებითი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხზე იმსჯელა. მოსამართლემ სრულად გაიზიარა პროკურატურის მტკიცებულებები და არასრულწლოვანი დ.ღ. წინასწარ პატიმრობაში დატოვა.

გამოძიების ინფორმაციით, არასრულწლოვანი ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით ესაუბრა მოკლული დავით სარალიძის მამასაც, თუმცა, შსს-ს ცნობით, სასამართლო განხილვის სტადიაზე მან მსგავსი შეხვედრა და საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე საუბარი უარყო.

ადვოკატების ინფორმაციით, წარდგენილ ბრალდებაში არასრულწლოვანი თავს ნაწილობრივ დამნაშავედ ცნობს. ადვოკატების თქმით, დ.ღ-მ ზაზა სარალიძესთან შეხვედრის შესახებ ინფორმაცია მისივე თხოვნით არ გაახმაურა.

არსებული ინფორმაციით, დ.ღ. მე-11 კლასის მოსწავლეა და ეს სწორედ ის პირია, რომელმაც სკოლის საპირფარეშოში კონფლიქტი დაიწყო.

დოდო გუგეშაშვილი: „ჩემი შვილის მკვლელობის საქმეზე გამოძიება ერთ წრეზე ტრიალებს“

გამოძიებაში დამოუკიდებელი ექსპერტები ჩაერთვებიან

თადარიგის პოლკოვნიკის, დოდო გუგეშაშვილის თქმით, მასზე თავდასხმასა და მისი შვილის მკვლელობის საქმის გამოძიების პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტები – მაია ნიკოლეიშვილი და ზაზა ალთუნაშვილი ჩაერთვებიან.

ამის შესახებ მან ადვოკატ გეღა ნიკოლაიშვილთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

როგორც დოდო გუგეშაშვილმა აღნიშნა, მიმდინარე გამოძიება წრეზე ტრიალებს და დამოუკიდებელი ექსპერტების ჩართვით, შესაძლოა, მან წინ წაიწიოს.

– ჩვენ ამ საქმეში ვრთავთ მაია ნიკოლეიშვილსა და ზაზა ალთუნაშვილს, როგორც დამოუკიდებელ ექსპერტებს, რომლებიც იმედია, რაიმე ახალს გვეტყვიან. მე ჯერჯერობით არ მაქვს საფუძველი ვისაუბრო, რომ რომელიმე დასკვნა არაკომპეტენტურია ან ამომწურავი არ არის, მაგრამ მაია ნიკოლეიშვილისა და ზაზა ალთუნაშვილის მაღალპროფესიონალური დონის გამო, იმედი მაქვს, რომ ისინი რაღაც ახალს მაინც აღმოაჩენენ საქმეში, რომელმაც შესაძლოა, გამოძიება ცოტა წინ წასწიოს. ახლა, სამწუხაროდ, ის, ობიექტური მიზეზების გამო, ერთ წრეზე ტრიალებს, – აღნიშნა მან.

ამასთან, დოდო გუგეშაშვილი არ გამორიცხავს, რომ პირი, რომელმაც ის დაჭრა, მისი შვილი კი მოკლა, მკვლელობის დამკვეთმა საქართველოდან გაიყვანა.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 7 თებერვალს დიღმის მასივში დოდო გუგეშაშვილის შვილი მოკლეს, თავად დოდო გუგეშაშვილი კი დაჭრეს.

ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა 12 წლის შშმ ბავშვის თანდასწრებით

მოქალაქეები პოლიციელებს ძალის გადამეტებაში ადანაშაულებენ

ბერიშვილების ოჯახი გურჯაანის პოლიციის თანამშრომლების წინააღმდეგ – მოქალაქე ირწმუნება, რომ სამართალდამცავებმა უფლებამოსილებას გადაამეტეს, როცა თამაზ ბერიშვილს მანქანის გაჩერების გამო 50 ლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრეს.

ოჯახი ირწმუნება, რომ პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა აგრესიას, სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებას.

ბერიშვილების თქმით, ეს ყველაფერი მათი 12 წლის შშმ ბავშვის თვალწინ ხდებოდა. გოგონა საბოლოოდ შეუძლოდ გახდა.

სამართალდამცავებმა მამა-შვილი ბერიშვილები, ასევე მათი ახლობელი დააკავა.

შსს-ს ინფორმაციით, ერთი მათგანი წინააღმდეგობის გაწევაზე, ხოლო ორი პირი კი ადმინისტრაციული წესით არის დაკავებული.

ოჯახი დაკავებულთა დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს. ბერიშვილები ასევე გეგმავენ, რომ საქმის კურსში ჯანდაცვის სამინისტროც ჩააყენონ.

კოტე მორგოშია: „მე რომ დამაკავონ, უარესს მიიღებენ“

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გურამ კაშიას მიმართ გამოთქმული მუქარის შემცველ განცხადებებსა და ფეისბუქ-სტატუსებზე „ქართული მარშის“ წევრი კოტე მორგოშია გუშინ, 29 აგვისტოს, დაკითხვაზე დაიბარა.

თვითონ მორგოშია აცხადებს, რომ მის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული სტატუსი მუქარის შემცველი არ არის.

– მუქარის შემცველი ვერანაირად ვერ იქნებოდა იმიტომ, რომ იმ პოსტის უკან ქრონოლოგიურად ზუსტად იყო გაწერილი ის პროტესტის ნიშნები, რაც დაგეგმილია და იქ არაფერი არ არის უკანონო და, შესაბამისად, ვერც ვერაფერი იქნება მაგაში მუქარის შემცველი. თუ სტვენა და გულშემატკივრის გამოხატვა თავის პოზიციის, მუქარაა, რაღაც არა მგონია. მუქარა მანდ არაფერი არ არის და ვერც იქნება. ათი ათასობით გულშემატკივარია, ვინც მის პოზიციას და მის საქციელს გმობს და გასაკვირი იქნებოდა, რომ ესეც არ ყოფილიყო.

მე რომ სულ დამაკავონ, უარესს მიიღებენ. თუ უნდა მისულიყო, სიტყვაზე, ათასი კაცი, მივა ასი ათასი. ეს არის და ეს. დანარჩენი თავიანთი გადასაწყვეტია, – განაცხადა კონსტანტინე მორგოშიამ.

ის დინამო არენასთან აქციის ჩატარებასაც ადასტურებს და ამბობს, რომ კანონის ფარგლებში იმოქმედებენ.

– მთავრდებოდა პოსტი ესე, რომ შენც ჩამოხვალ 9-ში და დანარჩენს ნახავ. თუმცა, როდესაც გამომძიებლებმა ნახეს დანარჩენი ჩემი პოსტები, ანუ წინამორბედი, მიხვდნენ, რომ ცხრაში რაღაც არ იგეგმებოდა სხვა, იგეგმებოდა ერთადერთი ის აქტივობა, რაც დაახლოებით იყო რამდენიმე თვის წინ ქუთაისში საქართველო-ბელორუსის თამაშის დროს. ძალისმიერი მეთოდით ჩვენ არ შევსულვართ იქ. დავადასტურეგ აქტშიც, რომ ჩვენ ყველას გვქონდა შეძენილი ბილეთები, – განაცხადა კონსტანტინე მორგოშიამ.

ჟურნალისტის კითხვაზე, შეძენილი აქვთ თუ არა 9 სექტემბრის მატჩის ბილეთებიც, მორგოშია ამბობს, რომ ამ საკითხზე უკვე იზრუნეს და პრობლემა არ იქნება.

– ჩვენ არავისთან დაპირისპირებას არ ვაპირებთ, არც კაშიას მხარდამჭერებთან, თუ ასეთი საერთოდ არის ვინმე და არც არავისთან. ჩვენ პროტესტს გამოვხატავთ და ვისაც უნდა რომ, ასე ვთქვათ, ამ მამათმავლების პროპაგანდას დაუჭიროს მხარი, ეს მათი ნებაა და მათი არჩევანია, – განაცხადა მორგოშიამ.

1 ადამიანი დაიღუპა, 1 – დაშავდა – კახეთში BMW-ს მარკის ავტომობილი ხეს შეეჯახა

მსხვერპლით დასრულდა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ სანიორეში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა.

გუშინ, „ბე-ემ-ვეს“ მარკის ავტომანქანა ხეს შეეჯახა, ავარიის შედეგად სიცოცხლისათვის შეუთავსებადი დაზიანება მიიღო ერთმა ადამიანმა, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. მეორე დაშავებულის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

როგორც „ნიუპოსტს“ შს სამინისტროში უთხრეს, გამოძიება 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია .

პროკურორს, რომელმაც სამხედრო მოსამსახურეს სცემა, ბრალი წაუყენეს და თანამდებობიდან გაათავისუფლეს

საქართველოს მთავარი პროკურატურა წყალტუბოში მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, ყოფილ პროკურორს ბრალდება წარედგინა.

საქართველოს პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ყოფილ პროკურორ გ.შ.-ს ბრალი წარედგინა მოქალაქე გ.მ-ს ცემის და მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე. გამოძიების პარალელურად, საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება პროკურორ გ.შ.-ს მიერ შეუფერებელი საქციელის და მასზე კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის ფაქტზე.

მთავარი პროკურორის ინიციატივით მოწვეულმა პროკურატურის საკონსულტაციო საბჭომ ერთხმად მიიღო რეკომენდაცია პროკურატურიდან გ.შ-ს დათხოვნის შესახებ. რეკომენდაციის საფუძველზე, შალვა თადუმაძის ბრძანებით გ.შ. გათავისუფლდა საქართველოს პროკურატურიდან.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2018 წლის 24 აგვისტოს, გ.შ-მ ქ.წყალტუბოში, აკაკი შანიძის ქ. №9-ში მცხოვრებ მეგობარ თ.გ-სთან მისვლის შემდეგ საცხოვრებელი კორპუსის ეზოში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თ.გ.-ს მეუღლეს გ.მ.-ს.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ პროკურორმა გ.შ-მ, მოქალაქე თ.გ.-ს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა 2017 წლის ოქტომბერშიც მიაყენა.

ბრალდების მხარე გ.შ.-სთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხთან დაკავშირებით შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართავს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში გ.შ-ს მიმართ მიმდინარე გამოძიების შედეგების შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას დამატებით მიეწოდება.

მერკელი: „შეტაკებები ჰემნიცში საფრთხეა გერმანული დემოკრატიისთვის“

გერმანიის ქალაქი ჰემნიცი მწვავე შეტაკებების ადგილად გადაიქცა.

ყველაფერი 27 აგვისტოს დაიწყო. სირიელ ემიგრანტებსა და ადგილობრივ მაცხოვრებელ მამაკაცს შორის კონფლიქტი მოხდა. გაიმართა ჩხუბი, რომლის დროსაც გერმანელი მოკლეს. მეორე დღეს მკვლელობის ადგილას მემარჯვენე რადიკალებმა მოიყარეს თავი და დაიწყეს სკანდირება: „ემიგრანტებო, წაეთრიეთ გერმანიიდან!“ „გერმანია გერმანელთათვის“ და ა.შ. მალე გამოცხადდნენ მემარცხენეები, რომლებიც თავის მხრივ სკანდირებდნენ: „ფაშისტებო, გაეთრიეთ გერმანიიდან!“ დაპირისპირებულ მხარეთა შორის მოხდა შეტაკება. პოლიციამ მოჩხუბრები გააშველა.

მეორე დღეს ვითარება გამწვავდა. მემარჯვენე პოპულისტურმა და პრორუსულმა ორგანიზაციამ „ალტერნატივა გერმანიისთვის“ აქციის მოწყობა სცადა. მემარცხენეები შეეცადნენ, მათთვის ხელი შეეშალათ. მოხდა მასშტაბური შეტაკება, რის შედეგადაც მინიმუმ 20 ადამიანი დაიჭრა.

პოლიცია მოჩხუბრების დაშოშმინებას შეეცადა. ამ დროს 2 პოლიციელი დაშავდა.

– ის, რაც ჰემნიცში მოხდა, არა მხოლოდ სამარცხვინოა, ის წარმოადგენს საფრთხეს გერმანული დემოკრატიისთვის, – განაცხადა მერკელმა.

კანცლერის აზრით, მემარჯვენე რადიკალები ქმნიან დესტაბილიზაციას, თესავენ შფოთს, რაც საზოგადოების პოლარიზაციას იწვევს.

– მემარჯვენე რადიკალიზმი რეალურ სახელმწიფო საფრთხედ გადაიქცა, – თქვა მერკელმა.

„ასადი უნდა შევაჩეროთ“

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა რუსეთი გააფრთხილა

სირიაში მდგომარეობა იძაბება. დიქტატორი ასადი იდლიბის პროვინციის დაკავებას აპირებს. საფრთხე იმისა, რომ ამ დროს ქიმიური იარაღი იქნება გამოყენებული, დიდია. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმაც ამასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა:

– რუსეთს ვაფრთხილებთ, რომ ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შემთხვევაში ამას ოპერატიული და ადეკვატური რეაგირება მოჰყვება!

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს მატისმა თავის მხრივ განაცხადა, რომ აშშ

ინტენსიურ დიალოგს აწარმოებს რუსეთთან, რათა ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენება არ დაუშვას.

– ასადი უნდა შევაჩეროთ, – თქვა გენერალმა.

ამასობაში ხმელთაშუა ზღვაში რუსული სამხედრო-საზღვაო ძალების კონცენტრაცია შეინიშნება. ბალტიის ფლოტის სარდლის, ადმირალ ვალუევის აზრით, ეს შემთხვევით არ ხდება.

– ამერიკელები სირიაზე დარტყმას ამზადებენ! ჩვენ ამას არ დავუშვებთ! – განაცხადა ადმირალმა.

ვალუევმა არ დამალა, რომ რუსეთი მოლაპარაკებებისთვის არ არის განწყობილი.

– ნებისმიერი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ასადს ქიმიური იარაღის გამოყენება სურს, წარმოადგენს პროვოკაციას! ესაა საბაბი, რათა სირიაზე მორიგი დარტყმა განახორციელონ, – თქვა ვალუევმა.

ერაყში აფეთქებას 20-ზე მეტი სამხედრო შეეწირა

ერაყის დასავლეთში, ანბარის პროვინციაში აფეთქების შედეგად 20-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

ტერაქტი ერაყი-სირიის საზღვართან მდებარე ქალაქ ელ-ყაიმში მოხდა. დანაღმული ავტომობილი ერაყელი სამხედროებისა და „ალ-ჰაშდ აშ-შაბის“ დაჯგუფების მებრძოლთა სიახლოვეს აფეთქდა.

ერაყის ტერიტორიაზე მოქმედ არც ერთ ექსტრემისტულ დაჯგუფებას აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ჯერ არ აუღია.

უკრაინა რუსეთთან მეგობრობის ხელშეკრულებას წყვეტს

უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ განაცხადა, რომ უკრაინა რუსეთთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დენონსაციისთვის მზადაა.

მან ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთთან ამ ხელშეკრულების გაწყვეტა დაავალა.

ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა უკრაინის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა.

– როგორც იქნა, ჩვენ საკმაოდ მომზადებულად მივედით შემდეგ ნაბიჯამდე – უკრაინასა და რუსეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ შეთანხმების შეწყვეტამდე, რომელიც უკვე დიდი ხანია ანაქრონიზმად იქცა. უკვე უახლოეს დროში ველოდები საგარეო საქმეთა სამინისტროსგან დოკუმენტების საჭირო პაკეტს, რათა ამ პროცესის განხორციელება დაიწყოს, – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის აპრილში უკრაინის ლიდერმა თქვა, რომ უახლოეს პერიოდში პარლამენტში შეიტანდა კანონპროექტს აღნიშნული შეთანხმების ცალკეული დებულებების შეჩერების შესახებ.

უკრაინასა და რუსეთს შორის „მეგობრობის, თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ შეთანხმებას“ ხელი 1997 წელს მოეწერა.

ექსპერტები ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ ახლო მომავალში რუსეთ– უკრაინის ურთიერთობები კიდევ უფრო გამწვავდება.

აიათოლა ხამენეი: „აშშ-სთან მოლაპარაკებები ამ ეტაპზე წარმოუდგენელია“

ირანის სულიერი ლიდერისა და ხელმძღვანელის აიათოლა ალი ხამენეის განცხადებით, აშშ-სთან მოლაპარაკებები ამ ეტაპზე წარმოუდგენელია.

– ახლა, თუ ვაშინგტონის აგრესიულ და უმეცრულ ტონს გავითვალისწინებთ, აშშ-სთან მოლაპარაკებები წარმოუდგენელია. მათ სურთ, რომ ჩვენ პირველები წავიდეთ მოლაპარაკებებზე. როგორც მე აქამდე მითქვამს, ეს არ მოხდება, – განაცხადა ხამენეიმ.

მისივე თქმით, აშშ-სთან მიღწეული წინა შეთანხმებებისგან სარგებელი მინიმალური იყო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

გურამ კაშიას მხარს ფედერაცია და თანაგუნდელები უჭერენ

დღეს გურამ კაშიას უეფა სპეციალურ ჯილდოს გადასცემს. ამის გამო, ქართველი ფეხბურთელის მიმართ ისევ აჟიოტაჟია. ერთ დროს აგორებული თემა, ამ ჯილდოს შემდეგ კიდევ უფრო აქტუალური გახდა. საზოგადოების ნაწილი კაშიას მიმართ აგრესიას გამოხატავს და მისი ეროვნული გუნდიდან მოკვეთას მოითხოვს, თუმცა გურამს ბევრი დამცველიც გამოუჩნდა და არამარტო სპორტული სამყაროდან, ხოლო მის მიმართ შეურაცხმყოფელი სტატუსების გამოქვეყნებისთვის კონსტანტინე მორგოშია შსს-შიც კი დაიბარეს. თავად გურამმა კი ამის გამო სოციალური ქსელი გააუქმა.

გურამ კაშიას მხარი დაუჭირა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ. საგანგებო განცხადება ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნიკა ჯღარკავამ გააკეთა.

ნიკა ჯღარკავა:

– პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ეს ჯილდო ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის და, რა თქმა უნდა, თავად გურამ კაშიასთვის. ასევე მიმაჩნია, რომ ეს ჯილდო მნიშვნელოვანია ზოგადად ჩვენი ქვეყნისთვის. რაც შეეხება ამ ამბის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, ფეხბურთის ფედერაციის პოზიცია უცვლელია და ჩვენ ვეწინააღმდეგებით ყოველგვარ დისკრიმინაციას და ძალადობას. გვერდში ვუდგავართ გურამს და ყველანაირ მხარდაჭერას ვუცხადებთ. საგულისხმოა, რომ ეს ყველაფერი ხდება მოახლოებული მატჩების ფონზე, თუმცა, რა თქმა უნდა, მატჩების ორგანიზების და უსაფრთხოების საკითხი მოგვარებული იქნება სათანადო დონეზე. როგორც გუნდი, ისე ფეხბურთის ფედერაცია ვფიქრობთ მხოლოდ სპორტულ შედეგზე.

კაშიას მხარი დაუჭირეს საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებმაც. ვიცე-კაპიტნის მიმართ სოლიდარობა გამოხატეს გიორგი მერებაშვილმა, გიორგი ქვილითაიამ, გიორგი ლორიამ და ნიკა კვეკვესკირმა. სოციალურ ქსელში მიმდინარეობს კამპანია ჰეშტეგით – გურამშენთანვართ...

ლატვიის ნაკრებმა საქართველოსთვის შემადგენლობა დაასახელა

9 სექტემბერს საქართველოს ნაკრები ერთა თასზე, ლატვიას „დინამო არენაზე“ უმასპინძლებს, მანამდე კი, ბალტიისპირელები შინ ანდორას დაუხვდებიან.

ლატვიელების თავკაცმა მიკსუ პატელაინესმა მოახლოებული მატჩებისთვის 23 ფეხბურთელს უხმო. ყაზახებისგან განსხვავებით, რომლებსაც არც ერთი ლეგიონერი არ ჰყავთ, ბალტიისპირელების თავკაცმა 8 ლეგიონერს უხმო.

პატელაინენის გაფართოებული განაცხადი ასე გამოიყურება:

მეკარეები: ანდრის ვანინსი (ციურიხი, შვეიცარია), პაველს სტეინბორსი (არკა, პოლონეთი), კასპარს იკსტენსი (რფს);

მცველები: კასპარს დუბრა, ალექსანდ სოლოვიოვსი, ვლაჩესლავ იასევი (ყველა რფს), ვიტალიუს იაგოდინსკი (ვენტსპილსი), გინტს ფრეიმანისი (სპარტაკ იურმალა), ვლადისლავ გაბოვსი (რიგა), ვიტალის მაკსიმენკო (ოლიმპია, სლოვენია);

ნახევარმცველები: ალექსანდ ფერტოვსი, გლებს კლუსკინსი (ორივე რფს), რიტვარს რუგინი (ვენტსპილსი), ვლადიმირ კამესი, კრისტანს დამიანს ტორესი (ორივე ლიეპაია), ივან ლუკიანოვი (რიგა), რობერტს ულდრიკსი (სიონი, შვეიცარია), დავის იკაუნიეკსი (იაბლონეცი, სერბეთი);

თავდამსხმელები: რობერტ სავალნიეკი (რფს), ვალერის საბალა (პოდბესკიჟიე, პოლონეთი), დენის რაკელსი (რიგა), არტურს კარასაუსკი (აკჟაიკი, ყაზახეთი), ვლადისლავს გუტკოვსკის (ტერმალიცა, პოლონეთი).

უეფა ვიდეოგამეორებას ჯერ არ გეგმავს

უეფას პრეზიდენტმა ალექსანდრე ჩეფერინმა კომენტარი გააკეთა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალიდან ვიდეოგამეორებების შემოღებაზე.

ალექსანდრ ჩეფერინი:

– ჩვენ არ ვაპირებთ ვარ-ის სისტემის გამოყენებას. სიმართლე რომ ითქვას, ჯერ კიდევ არ ვარ დარწმუნებული მის ეფექტურობაში. საჭიროა, რამდენიმე რამ ნათელი გახდეს. მაგალითისათვის, ვინაა პასუხისმგებელი საკამათო ეპიზოდის გადახედვაზე – ვიდეოასისტენტი თუ მთავარი არბიტრი? გულშემატკივრებს ეს არ ესმით, იგივე ეხებათ ჟურნალისტებსაც. გაუგებარია, რას ხედავენ და რას არ ხედავენ მსაჯები. ჩვენ გვესმის, რომ ოდესმე მოგვიწევს ვარ-ის სისტემის გამოყენება, მაგრამ ეს მაშინ უნდა გაკეთდეს, როდესაც ყველაფერი მზად იქნება. აუცილებელია რამდენიმე ასპექტის დარეგულირება, რადგან ჩემპიონთა ლიგა – ეს ჩვეულებრივი ტურნირი არაა, მასში, ხომ მთელი ევროპიდან არიან წარმოდგენილი გუნდები.

რატი ანდრონიკაშვილი ფიბამ პერსპექტიულ კალათბურთელად მიიჩნია

საქართველოს საკალათბურთო ნაკრებში წარმატებული დებიუტი ჰქონდა რატი ანდრონიკაშვილს, რომელიც 17 წლისაა და ესპანურ ბასკონიაში ასპარეზობს. ილიას ზუროსმა სერბეთთან და ავსტრიასთან შეხვედრებში რატი ბოლო წუთებზე ათამაშა. მართალია, პარკეტზე სულ რამდენიმე წუთი დაჰყო, მაგრამ ამ მცირე დროშიც მოახერხა ქართველი გულშემატკივრების აღფრთოვანება.

ანდრონიკაშვილის პერსონით თვით ფიბა დაინტერესდა – ევროპის უმაღლესი საკალათბურთო ორგანოს ვებგვერდზე ახალგაზრდა ქართველ კალათბურთელზე სტატია გამოქვეყნდა, სადაც თავად რატი საუბრობს.

რატი ანდრონიკაშვილი:

– ეროვნულ ნაკრებში გამოძახება ჩემს კარიერაში ყველაზე ამაღელვებელი მომენტი იყო. საქართველოს ნაკრების გამოცდილი კალათბურთელები ჩემი კერპები იყვნენ, რომლებსაც მთელი ბავშვობა ვუყურებდი და ვგულშემატკივრობდი. არ ველოდი ეროვნული ნაკრების განაცხადში მოხვედრას, მაგრამ როდესაც 12-კაციან სიაში მოვხვდი, ყველაფერი გავაკეთე, რომ გუნდისთვის სარგებელი მომეტანა.

საქართველო-სერბეთის მატჩის დასრულებამდე სულ რამდენიმე წუთი რჩებოდა, როდესაც საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ილიას ზუროსმა თამაშში რატი ანდრონიკაშვილის ჩართვა გადაწყვიტა.

– როდესაც საქართველო-სერბეთის შეხვედრისას მწვრთნელმა ჩემი მოედანზე შეშვება გადაწყვიტა და მეც სკამიდან ავდექი, ეს იყო ყველაზე ემოციური წამები ჩემს ცხოვრებაში. გულშემატკივრებმა იცოდნენ, რომ ასაკით ყველაზე უმცროსი ვიყავი და მათგან დიდი მხარდაჭერა ვიგრძენი. ეს წამები და ეს ემოცია არასდროს დამავიწყდება.

ფიბა გვახსენებს, რომ საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველი ეტაპი დაძლია და წინ უფრო რთული პროცესია, რადგან მეორე ეტაპზე ილიას ზუროსის გუნდს უძლიერესი მეტოქეები ეყოლება, მათ შორის საბერძნეთის ნაკრები.

– ვისაც არ უნდა ვხვდებოდეთ, ჩვენ ყოველთვის საბრძოლველად ვართ მზად. არ აქვს მნიშვნელობა ისრაელში ვთამაშობთ, საბერძნეთში თუ სადმე სხვაგან, ჩვენი განწყობა არ იცვლება და მზად ვართ ნებისმიერ მეტოქეს კონკურენცია გავუწიოთ. ამასთან, ყოველთვის ჩვენი კალათბურთი უნდა ვითამაშოთ.

ფიბა აღნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ახალგაზრდა და პერსპექტიული მოთამაშეები არიან. რატი ანდრონიკაშვილის გარდა, ნაკრებში გამოჩნდა 19 წლის გოგა ბითაძე, რომელმაც ლიდერების არყოფნაში ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი.

– კარგია, რომ ჩვენ ასეთ ახალგაზრდულ ასაკში ვიღებთ სანაკრებო გამოცდილებას. მით უმეტეს, ბოლო შეხვედრებში რამდენიმე ვეტერანს არ მიეცა ნაკრებში თამაშის საშუალება. კარგად ვიცოდი, რომ სანაკრებო შეკრებაზე ბევრი უნდა მეშრომა, მესწავლა და გუნდისთვის მაქსიმუმი გამეღო. სჯობს ეს გზა 18 წლის ასაკში დაიწყო, ვიდრე 25-ის, რადგან ასე უფრო მეტს ისწავლი.

ფიბა აღნიშნავს, რომ ილიას ზუროსის გარდა, რატი ანდრონიკაშვილი ყველაზე მეტს გიორგი ცინცაძისგან სწავლობს. 17 წლის გამთამაშებელი ამ თემაზე შემდეგ კომენტარს აკეთებს:

– გიორგი ცინცაძეც 17 წლის იყო, როდესაც ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს. მიყვარს მისი თამაშის ყურება და კონკურენციის გაწევა, რადგან ასე უფრო მეტს ვსწავლობ. მასთან უამრავი კითხვა მაქვს და ისიც ყოველთვის ღიაა ურთიერთობისთვის. ცინცაძე ძალიან მეხმარება და თან, ჩვენ ხომ ერთ პოზიციაზე ვთამაშობთ. ილიას ზუროსი კი, საუკეთესო მწვრთნელია, ვისთანაც ოდესმე მიმუშავია. ის ყოველთვის მზადაა მოთამაშეებთან ურთიერთობებისთვის. ხშირად მეუბნება, რომ თუ რაიმე პრობლემა მექნება, გახსნილად ვესაუბრო ამ თემაზე. ის მზადაა შეაჩეროს ვარჯიში და თუ რაიმე გაუგებარია ჩემთვის, კარგად ამიხსნას. ის პროფესიონალია და იცის თავისი საქმე.

ლუკას ჰუფნაგელი: „საქართველოს ნაკრებში სერბეთთან თამაში კარიერის ყველაზე დიდი მატჩი იყო

გერმანიაში დაბადებული ლუკას ჰუფნაგელი 17 წლის იყო, საქართველოს მოქალაქეობა რომ მიიღო და 17 წლამდე ნაკრებში ითამაშა. დედით ქართველია და ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო.

2015 წელს უკვე საქართველოს ეროვნული გუნდის მაისურიც მოირგო. 2017 წლის ოქტომბერში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო საგარეო მატჩში, სერბეთის ნაკრებთან, ვლადიმირ ვაისმა ბოლო წუთებზე გამოიყვანა.

ჰუფნაგელი ტრავმებმა გააწამეს და ბევრად უკან დახიეს, თორემ გაცილებით უკეთეს გუნდებს იმსახურებდა. ამიტომაც იყო, ბუნდესლიგის ფრაიბურგმა მე-2 ბუნდესლიგის ნიურნბერგში გაანათხოვრა, სადაც ბოლო ორ სეზონში მხოლოდ 11 მატჩში (1 გოლი) მიიღო მონაწილეობა.

ამ ზაფხულს ლუკასი უნტერჰახინგში გადავიდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. 5 ტურის შემდეგ უნტერჰახინგი 11 ქულით მე-3 ლიგის ლიდერია, ქართველმა ნახევარმცველმა კი 5 თამაშში 1 გოლი გაიტანა.

ჰუფნაგელი საქართველოს ნაკრებში თამაშზე ისევ ოცნებობს, რაც მან გერმანულ მედიასთან ინტერვიუში დაადასტურა.

– 11 ქულა და დაუმარცხებელი სტარტი – უნტერჰახინგს კარგი დასაწყისი აქვს.

– დიახ, ძალიან კარგია, რომ გუნდს თამაში ჯერ არ წაუგია, მაგრამ კოტბუსში ბოლოს 2 გოლი გავუშვით და მოგება ხელიდან გავუშვით. ცოტა რომ გაგვმართლებოდა, აალენსაც მოვუგებდით და ჯამში 5 გამარჯვება გვექნებოდა, მაგრამ ეს სტარტიც ძალიან კარგია.

– კლუბის პრეზიდენტმა, მანი შვაბლმა სეზონის წინ განაცხადა, რომ უნტერჰახინგის ათეული დააკმაყოფილებდა, კარგი სტარტის შემდეგ, უფრო მეტს ხომ არ გეგმავთ?

– ჯერ ძალიან ადრეა ამაზე ლაპარაკი, სეზონი ახალი დაწყებულია. ამ ლიგაში ყველაფერი სწრაფად ხდება.

– რა როლი გაკისრიათ უნტერჰახინგში?

– ჩემ თავს უფრო შემტევ 6-იანად ვხედავ. ჩემი მოვალეობაა ბურთის მოპოვება და შეტევის წამოწყება. ასევე დაცვაში საიმედო თამაში.

– თქვენ ფრაიბურგიდან დაბრუნდით, არის თუ არა ეს კარიერაში უკუსვლა?

– თავიდან მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ მწვრთნელთან და პრეზიდენტთან საუბრის შემდეგ მივხვდი, რომ ჩემთვის ეს კარგი ნაბიჯი იქნებოდა. მათ დამაჯერეს, რომ სწორ ნაბიჯს ვდგამ კარიერაში. ბოლო 2 სეზონის განმავლობაში ძალიან ცოტა თამაში მომიწია, შემდეგ გლანდების ოპერაცია გავიკეთე. ჩემთვის აქ თამაში რეგრესი არ არის. მსურს ფეხბურთისგან ისევ სიამოვნება და ბევრი თამაში მივიღო. უნტერჰახინგში ყველაფერი მაქვს.

– როგორია თქვენი კარიერული მიზნები?

– უკვე 24 წლის ვარ, ახალგაზრდა ფეხბურთელად აღარ ვითვლები, მაგრამ დაგვიანებულიც არ არის ახალი მიზნების დასასახად. არ ვიცი, რამდენად რეალურია ბუნდესლიგის ფეხბურთელობა, მაგრამ მე-2 ბუნდესლიგის სტაბილური ფეხბურთელის კარიერა ჩემთვის ძალიან რეალურია.

– მიუნხენში დაბადებული საქართველოს ნაკრებში თამაშობთ, როგორ მოხდა ეს?

– სანახევროდ ქართველი ვარ, თუმცა თავს უფრო გერმანელად ვთვლი. გერმანიის ნაკრებში თამაში დიდებული იქნებოდა, მაგრამ არავის დაუძახია. ამის მიუხედავად, საქართველოსთან ბევრი რამ მაკავშირებს. იქ ყოველ ზაფხულს ჩავდივარ. იქ ყოფნა ძალიან მიყვარს. მიუხედავად იმისა, რომ კარგი ქართულით ვერ ვლაპარაკობ.

– შარშან თქვენ მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში ითამაშეთ სერბეთთან.

– ჩემი სურვილია, კიდევ მეტჯერ ვითამაშო ნაკრებში. ეს იყო საოცარი შეგრძნება. ახლაც შენახული მაქვს იმ მატჩის მაისური. როდესაც ახალ სახლში გადავალ, მას სათანადო ადგილზე ჩამოვკიდებ. სერბეთთან თამაში ჩემს კარიერაში ყველაზე დიდი მატჩი იყო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

„მადლობა, ბასტი!

ბასტიან შვაინშტაიგერი მიუნხენმა და ჩიკაგომ გააცილეს

ეს იყო ერთი დიდი სცენა – მოწყობილი სპეციალურად გამორჩეული ბავარიელისათვის. გამოსამშვიდობებელი მატჩის დასრულების შემდეგ, ბასტიან შვაინშტაიგერი „ალიანც არენის“ ცენტრში იმყოფებოდა და დიდ ეკრანზე თვალ-ყურს ადევნებდა ყოფილი თანაგუნდელების, მეგობრების და მწვრთნელების გულთბილ სიტყვებს.

– მე ერთ-ერთი თქვენგანი ვარ და ეს მუდამ ასე იქნება, – ეს უკვე თავად შვაინშტაიგერის სიტყვებია.

„ალიანც არენაზე“ 75.000 ქომაგი სწორედ იმისთვის იყო მისული, რომ შვაინშტაიგერის ბოლო მატჩი ენახა. ბასტიმ შეხვედრის პირველი ტაიმი ჩიკაგო ფაერის შემადგენლობაში ითამაშა, მეორე ტაიმში კი ბაიერნის თერთმეტეულს შეუერთდა.

ორივე კართან უამრავი სახიფათო მომენტი შეიქმნა და მატჩის განმავლობაში 4 გოლიც გავიდა, თუმცა ამ გოლებს მხოლოდ ბაიერნი იტანდა. პირველი ტაიმის მე-7 წუთზე სერჟ გნაბრიმ გახსნა ანგარიში, ამას მოყვა სანდრო ვაგნერის გოლი, მეორე ტაიმის 68-ე წუთზე არიენ რობენმაც გამოიჩინა თავი. კულმინაციური მომენტი კი 84-ე წუთზე შეიქმნა, როდესაც შვაინშტაიგერმა ერთი შეხებით გაგზავნა ბურთი „მოწინააღმდეგე“ გუნდის კარში.

ორივე გუნდი თითქმის სრული შემადგენლობით იდგა მოედანზე, როდესაც მწვანე გაზონზე მთავარი გმირი გამოჩნდა, „ალიანც არენაზე“ შუქი ჩაქრა და ერთადერთი პროჟექტორი მხოლოდ ბასტიან შვაინშტაიგერის მისამართით იყო მიპყრობილი, რომელიც ნელ-ნელა მხურვალე აპლოდისმენტების ფონზე მიემართებოდა ცენტრისკენ. მოედნის შუაგულში უკვე იდგა სცენა, სადაც ყველა ის თასი იყო გამოფენილი, რომლებიც შვაინშტაიგერმა მიუნხენურ კლუბთან ერთად მოიპოვა. მხოლოდ ამ სცენის მოწყობაზე ორი ათეული ადამიანი იყო დასაქმებული.

ბასტიანმა საკუთარი უმაღლესი საშემსრულებლო ოსტატობა კიდევ ერთხელ გამოვლინა, როდესაც ჩიკაგოელთა რიგებში ცენტრალური ნახევარმცველის პოზიცია დაიკავა და როგორც ლიბერო, ისე ხელმძღვანელობდა გუნდის თოთოეულ იერიშს. ის, რომ ბასტის ართმევაზე შესანიშნავად შეუძლია თამაში, კვლავ დაადასტურა პირველი ტაიმში, როდესაც ლეონ გორეცკას წინააღმდეგ სუფთა ვარდნა განახორციელა და სახიფათო შეტევაც ჩაშალა.

შვაინშტაიგერმა მეორე ტაიმი უკვე მიუნხენური კლუბის შემადგენლობაში გაატარა. სამხრეთ ტრიბუნაზე გამოფენილი იყო სპეციალური ბანერები, რომლებზეც მხოლოდ 2 სიტყვა ეწერა – მადლობა, ბასტი. გარდა ამისა ბაიერნის დანარჩენი ფეხბურთელებსაც 31 ნომრიანი მაისურები ეცვათ.

ლეგენდარული ფეხბურთელი ისე დირიჟორობდა საკუთარ გუნდს, თითქოს არც არსად არ წასულა მთელი ამ წლების განმავლობაში. მატჩის მიწურულს კი დავიდ ალაბას მიერ ჩაწოდებული ბურთი გოლად აქცია – ზუსტად ისე, როგორც ეს ძველ კარგ დროს ხდებოდა ხოლმე.

პორნომსახიობი აშშ-ის პირველ ლედის გამოექომაგა

ამერიკელი პორნომსახიობი სტორმი დენიელსი ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში აშშ-ის პირველ ლედის მელანია ტრამპს გამოექომაგა.

სტორმი დენიელსმა განაცხადა, რომ ხალხმა მის მაგივრად ლაპარაკს თავი უნდა დაანებოს და არ ისაუბრონ მის გრძნობებზე, ვარაუდები არ უნდა გამოთქვან. მასალაში აღნიშნულია, რომ „ვაშინგტონი გაივსო ჭორებით იმის შესახებ, რომ მელანია ქორწინებაში თავს უბედურად გრძნობს“.

– ხალხმა მის ნაცვლად ლაპარაკს თავი უნდა ანებოს. იქნებ ის თავს ბედნიერად გრძნობს. ყველაფერი, რასაც ჩვენ მასზე ვამბობთ – მოგონილია, – განაცხადა პორნომსახიობმა.

– მთელ სამყაროს აინტერესებს, თუ ის (მელანია ტრამპი) რას გრძნობს, მაგრამ თუ ჩვენ ამას ვერასოდეს გავიგებთ, ეს

მისი უფლება იქნება და მე მას მხარს დავუჭერ, – განაცხადა დენიელსმა.

სტორმი დენიელსი (ნამდვილი სახელი სტეფანი კლიფორდი) მას შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც 2011 წელს განაცხადა, რომ ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა დონალდ ტრამპთან.

ამ დროისთვის სტორმი დენიელსი სასამართლოს დახმარებით ცდილობს საკუთარი ინტერესების დაცვას, ხოლო აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი პორნომსახიობთან ურთიერთობას უარყოფს.

მანჩესტერული შეთქმულება მოურინიოს წინააღმდეგ?

სანდო წყარო მედიას ატყობინებს, რომ ჟოზე მოურინიოს წინააღმდეგ შეთქმულება მზადდება და მას მომდევნო ტურში ბარნლისთან მარცხის შემდეგ გააგდებენ. ფეხბურთელებს მოურინიო დიდად გულზე აღარ ეხატებათ და ფიქრობენ, რომ თუ ბარნლისთან განგებ წააგებენ, ამას უკვე მოურინიოს აღარ აპატიებენ, მოთმინების ფიალა აევსებათ და კარისკენ მიუთითებენ.

წყარო იმასაც ამბობს, მანჩესტერ იუნაიტედის ფეხბურთელებს ერთი სული აქვთ, ზინედინ ზიდანი როდის მოვაო.

საფარის მონაწილე შუა გზაზე ლომების პრაიდს გადაეყარა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში საფარის მონაწილემ ვიდეოზე გადაიღო, თუ როგორ ჩაუარა გვერდით შუა გზაზე ლომების პრაიდმა.

მოგზაურმა რემ გოიელმა განაცხადა, რომ პრაიდს, რომელიც სავარაუდოდ 15 ლომისგან შედგებოდა, დილით ადრე გადააწყდა, როდესაც პარკში სხვა მანქანები არ იყო.

– ეს წარმოუდგენელი იყო, ძალიან გაგვიმართლა, რომ ლომებმა გვერდით ჩაგვიარეს. სპეციალურად გადავედი გზის პირზე, რომ მათთვის გზა გამეთავისუფლებინა, – განაცხადა გოიელმა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი სხვა მანქანების გამოჩენის შემდეგ ლომებმა გზიდან გადაუხვიეს.

ვიდეორგოლისთვის თანდართული აღწერიდან ირკვევა, რომ პარკის დამთვალიერებლებმა პირველად მოახერხეს საკუთარი თვალით ეხილათ ასეთი მრავალრიცხოვანი ლომების პრაიდი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მომო სალაჰი გროზნოში თავს დაცულად ვერ გრძნობდა

მსოფლიოს 2018 წლის საფეხბურთო ჩემპიონატზე ყველაზე მეტად გულდაწყვეტილნი, ალბათ, ეგვიპტის ნაკრების გულშემატკივრები იქნებიან. მართალია, „ფარაონებს“ ჩემპიონობას არავინ სთხოვდა, მაგრამ როგორც მინიმუმ, ერთი მატჩის მოგებას კი ელოდნენ, მით უფრო, რომ მოჰამედ სალაჰის დარი ფორვარდი ბევრ ნაკრებს არ ჰყავს.

თუმცა რა გამარჯვებაზე უნდა ყოფილიყო საუბარი, როდესაც ნაკრებს მატჩებისთვის მშვიდად მომზადების საშუალებაც არ ჰქონიათ. გეცოდინებათ, ექტორ კუპერმა გუნდი ქალაქ გროზნოში დაბანაკა. როგორც შემდგომში გაირკვა, ეს მცდარი გადაწყვეტილება აღმოჩნდა.

მოჰამედ სალაჰი:

– თავს მშვიდად და დაცულად ვერ ვგრძნობდით. ხშირად გვაცდენდნენ, სასტუმროს ნომრებში შემოდიოდნენ და გველაპარაკებოდნენ. მეტი უსაფრთხოება და სიწყნარე ვითხოვე არა მხოლოდ ჩემთვის, მთელი გუნდისთვის, მაგრამ ამაოდ. ორჯერ სასტუმროს რესტორნამდეც ვერ მივაღწიე, რათა მესადილა. იყო შემთხვევები, ოთახში ტყვესავით ყოფნა მიხდებოდა, რადგან სასტუმროს ჰოლში ზღვა ხალხი იყო შემოსული.

შეგახსენებთ, ეგვიპტის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფში რუსეთის, ურუგვაის და საუდის არაბეთის ნაკრებებთან ერთად მოხვდა და სამივე მატჩი წააგო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

30 აგვისტოსთვის

ვერძი – იყავით მიზანდასახული და ორგანიზებული. დროს ფუჭად ნუ დაკარგავთ. ახლობლების წარმატება გაგახარებთ. **კურო** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ნუ იქნებით იმპულსური. **ტყუპები** – წარმატება ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობაზეა დამოკიდებული. სიჯიუტე და ეგოიზმი დაუშვებელია. **კირჩხიბი** – შექმენით ფინანსური რეზერვი. ეცადეთ, უფროსობასთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოთ. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად. უამრავ დადებით ემოციას მიიღებთ. **ქალწული** – თავი აკონტროლეთ. ახლობლების რჩევებს ენდეთ. საღამოს აქტიურად დაისვენეთ. **სასწორი** – იზრდება სასიცოცხლო პოტენციალი და პიროვნული მომხიბვლელობა. ყველაზე რთული ამოცანის შესრულებაც კი არ გიჭირთ. **ღრიანცალი** – კარგი იქნება, თუ ცოტა ხნით მაინც განმარტოვდებით და დაისვენებთ. აქტიური მოქმედება იმ შემთხვევაში გაამართლებს, თუ ყველა ნაბიჯს წინასწარ გააანალიზებთ. **მშვილდოსანი** – თქვენს ჩანაფიქრს ნურავის გაანდობთ. მიღებული ინფორმაცია სათანადოდ გადაამოწმეთ. **თხის რქა** – სამსახურში სირთულეებია მოსალოდნელი. თუ საჭიროება მოითხოვს, კოლეგები დაიხმარეთ. **მერწყული** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა კომერციული ოპერაციებისათვის. ახალი წამოწყება გაამართლებს. **თევზები** – ნებისმიერი საქმის შესრულება დიდ დროსა და ენერგიას გართმევთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას სიმშვიდე გმართებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 2. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 4. ლათინური ამერიკიდან აშშ-ში არალეგალურად შემოსული მუშახელის სახელწოდება; 8. ქართველ მწერალ გიორგი ახვლედიანის ლიტერატურული ფსევდონიმი; 9. საფრენი აპარატი, მართული აეროსტატი; 11. ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიით კილაძის მუსიკაზე შექმნილი ქართული ბალეტი; 12. ბებერი თხა; 14. ქალაქი ჩეხეთში; 16. მსოფლიოში მოპოვებული ყველაზე დიდი ალმასი; 17. მცენარეული წარმოშობის შაქარი; 19. კომპანია „სონის“ დამფუძნებელი; 21. მამათა მონასტერი.

თარაზულად: 5. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 6. ცუდი გუნება-განწყობილება; 7. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 10. იაპონელთა ნაციონალური ტანსაცმელი; 13. ინფექციური დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმი; 15. ბიჭვინთაში ქანდაკება „ზღვის“ ავტორი ქართველი მოქანდაკე; 18. შეძლებულ გლეხთა სახელწოდება საბჭოთა კავშირში; 20. დიდი დასახლებული პუნქტი; 22. საქართველოში მოღვაწე გერმანელი მხატვარი, სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი; 23. გასართობად შეთხზული მოკლე სასაცილო ამბავი; 24. რაიმე მოვლენის განვითარებისა და შედეგების წინასწარი განჭვრეტა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჩუბინი; 2. აკრი; 3. პარადოქსი; 4. ცაიში; 5. ჭინჭარი; 8. დიბალა; 9. ხაბიზგინა; 12. ჩაროზი; 14. გვრინი; 16. აპოლო.

თარაზულად: 1. ჩოხატაური; 6. რამაზანი; 7. ბაიდარა; 9. ხორავა; 10. დილა; 11. ზაგრები; 13. ბიგლი; 15. საფარა; 17. მიუსერა; 18. პომპეო; 19. ირონია; 20. რომანსი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სატირა; 2. ბრეგეტი; 3. კადილაკი; 4. შიფონერი; 8. საქსაფონი; 9. ტრიპიტაკა; 11. ანორაკი; 12. ყავა; 14. ალოე; 16. ზაქათალა; 17. ცილინდრი; 19. ფოლადი; 21. ჯიხვი.

თარაზულად: 5. ლანგუსტი; 6. დემენცია; 7. ფარვატერი; 10. სამაია; 13. პრიორი; 15. ღვარძლი; 12. კათოდი; 20. ალკალა; 24. პალესტინა; 23. ალავერდი; 24. ავლაბარი.

ზინა კვერენჩხილაძეს 86-ე დაბადების დღე მეგობრებმა მცხეთაში მიულოცეს

მსახიობი ზინა კვერენჩხილაძე 86 წლის გახდებოდა. მისი დაბადების დღე მეგობრებმა მცხეთაში, სამთავროს მონასტერში, მსახიობის საფლავზე აღნიშნეს. გოგი დოლიძემ, გუბაზ მეგრელიძემ, ჰენრი კუპრაშვილმა, თენგიზ გაჩეჩილაძემ და ფრიდონ მაღრაძემ კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი ქალბატონი ზინას ხსოვნას.

მსახიობის გარდაცვალების შემდეგ, მისმა მეგობრებმა ტრადიციად დაამკვიდრეს, რომ ზინა კვერენჩხილაძის დაბადების დღეზე მცხეთაში ჩავიდნენ და მის საფლავთან შეიკრიბონ. წელს უკვე მეშვიდედ ეს ტრადიცია არ დარღვეულა და მეგობრებმა უნიჭიერესი მსახიობი კიდევ ერთხელ გაიხსენეს.

ზინა კვერენჩხილაძემ მთელი ცხოვრება ქართულ თეატრს შეალია. რუსთაველის თეატრში მან არაერთი როლი შეასრულა და თავისი პროფესიონალური თამაშის წყალობით, მაყურებელს თავი სამუდამოდ დაამახსოვრა და შეაყვარა.

თეატრში მუშაობის პარალელურად, ზინა კვერენჩხილაძე ფილმებშიც მონაწილეობდა, თეატრალურ უნივერსიტეტშიც ასწავლიდა. მან დმანისში თეატრი ჩამოაყალიბა, რომელსაც მსახიობის გარდაცვალების შემდეგ ზინა კვერენჩხილაძის სახელი მიენიჭა.

„ჩემი ანტიგონე“ – ასე ეწოდება წიგნს, რომელიც მსახიობმა დაწერა და მაყურებელს საკუთარი თავი სულ სხვა ამპლუაში წარუდგინა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯვრის მონასტრის შესახებ 1709 წლის საბუთი XIX საუკუნის საქმეში მოიძებნა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივში დაცულ მე-19 საუკუნის ფონდის „თბილისის კეთილმოწყობის კომიტეტი“ გადამუშავებისას 1839 წლის ერთ-ერთ საქმეში მოიძებნა 1709 წლის ისტორიული საბუთი, რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტერს შეეხება.

ახლად მიკვლეული დოკუმენტი სარდალ გიორგი ამილახვრის მიერ იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ეკლესიისადმი 1709 წელს გაცემული შეწირულების წიგნია. ამ დოკუმენტით ამილახვარმა თბილისში მდებარე თავისი მამული მშობლების, მამის გივი ამილახვრისა და დედის თამარის, შაჰნავაზის იგივე ვახტანგ V-ის ასულის სულის მოსახსენებლად შესწირა ტაძარს. დოკუმენტის პირი, გადაწერილი ასლი ეროვნული არქივის ძველი საბუთების პირების კოლექციაში ამ დრომდეც ინახებოდა და მისი შინაარსი ცნობილი იყო, თუმცა XIX საუკუნის საარქივო საქმეში მისი ორიგინალის მიკვლევას გამორჩეული მნიშვნელობა აქვს.



იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ქართველების მოღვაწეობასა და მონასტრისათვის ქართველი მეფეებისა და მთავრების შეწირულებათა შესახებ ეროვნული არქივის ძველ საბუთთა კოლექციაში მე-15-მე-19 საუკუნეების 115 დოკუმენტია დაცული. ამ ისტორიული საბუთებით დასტურდება, ქართველი მეფეები და დიდებულები გამუდმებით სწირავდნენ ქონებას იერუსალიმის ქართულ მონასტრებს და იმ სავანეებს, სადაც ქართველი სასულიერო პირები მოღვაწეობდნენ.

ამონარიდი საბუთიდან: „ამილახორის ზემო ქართლის სარდლის შვილმან ბატონმან გიორგიმ შემოგწირე... ესე მცირე კნინი შემოსაწირავი საკუთარი ჩვენი ალალი ნასყიდი ადგილი ქალაქს გალავანს გარეთ ხევის გაღმა მოედნისაკენ... სიგძე ადლი ორმოცდახუთი, განი ადლი ოცდახუთია მისის სამართლიანის სამძღვრით უკლებლად მოგართვით და შემოგწირეთ ამა პირსა ზედან, რომელ ვინცა ვინ ეალუსარიმის პატრიარქი დღეს ბძანდებოდეს, ანუ შემდგომად დღეის წაღმა, ყოველ აღდგომის დიდს შაბათს ნათლის გამოსლვის დღეს მამის ჩვენის ამილახვარის გივისათვინ და უძღეველის მეფის პატრონის შაჰნავაზის ასულის დედის ჩვენის ბატონის თამარისათვინ ჟამსა სწირევდენ და მათ შენდობითა და ჩვენ ძეთა მათთაც დღეგრძელობით მოგვიხსენებდნენ თვისის კრებულითა. კიდენ ესეც უნდა გვიყონ რომე ერთი კანდელი დაუნელებლად ქრისტეს საფლავზედ ჩვენ მაგიერობით ენთებოდეს.“

საბუთს ახლავს ხუთი ბეჭედი. ოთხი ამილახვრებს, ერთი კი მეფე გიორგი XII-ს ეკუთვნის, რომლითაც მან 1799 წელს შეწირულება დაადასტურა.

გიორგი ნაკაშიძე ტელევიზიებს აკრიტიკებს

კინომსახიობთა თეატრის მსახიობი გიორგი ნაკაშიძე ქართულ ტელევიზიებს აკრიტიკებს და მისი მტკიცებით, სულ ცოტა, 15 წლით უკან გადავფრინდით:

– ცისფერი ეკრანი, რომელსაც საბედნიეროდ ძალიან იშვიათად ვუყურებ, გაივსო შევარდნაძის დროინდელი ნაცრისფერსახეებიანი დამჟავებული ფუნქციონერებით! სულ ცოტა, 15 წლით უკან გადავფრინდით, გული მიგრძნობს, ვარდნა არ დასრულებულა... რისი თავი აქვს ამ საწყალ ქვეყანას. გული მერევა, რაც აღამახმადხანმა ვერ გაგვიკეთა, დღეს კაპიკებში ახერხებენ მისი შთამომავლები. აღმაშენებლის გამზირი ამის ნათელი მაგალითია! აღმაშენებლის მთელი გამზირი არის თურქულ-ირანული კულტურის უნიჭო კრებული თავისი რუსულენოვანი მუსიკალური უგემოვნებო გაფორმებით და გაუგებარი სტილის, ეროვნების და ჩაცმულობის მქონე ქუჩის მოცეკვავეებით.

არალეგალ მიგრანტებს გზა ნიანგებით სავსე ტყეში აებნათ

ავსტრალიაში ნიანგებით სავსე მანგრების ტყეში არალეგალი მიგრანტები დაიკარგნენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი გერმანული გამოცემა ავრცელებს.

მიგრანტების ძებნა კვინსლენდის შტატის დეინტრის ეროვნულ პარკში მიმდინარეობს. დაახლოებით 20 ან 30 არალეგალი მანგრებში დაიმალნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათზე ნიანგების შესაძლო თავდასხმის თაობაზე გაფრთხილება ჰქონდათ მიღებული. მაშველებმა მათი სანახევროდ ჩაძირული ნავი აღმოაჩინეს, საიდანაც საწვავი ჟონავდა. ნავის ჩაძირვის შემდეგ მიგრანტებმა ტყეს შეაფარეს თავი.

პოლიციამ 15 პიროვნების დაკავება მოახერხა. მათი უმეტესობა, არცთუ „ურიგოდ“ იყო გამოწყობილი და თან ბარგიც ჰქონდა. დანარჩენ არალეგალებს ძაღლების დახმარებით ეძებენ.

სხვადასხვა მონაცემებით, მიგრანტები ავსტრალიაში ინდონეზიიდან ან ვიეტნამიდან ჩავიდნენ. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის ეს პირველი შემთხვევაა.

პაკისტანში ყველაზე გადმოკარკლულთვალებიანი ბიჭი ცხოვრობს

პაკისტანელმა ახმედ ხანმა სახელი იმის წყალობით გაითქვა, რომ თვალების ძალიან გადმოკარკვლა ეხერხება და გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრას აპირებს.

პაკისტანელმა ყმაწვილმა ქალაქ ლახორიდან აღიარა, რომ საკუთარი ტალანტი მულტფილმ „ტომი და ჯერის“ ყურების დროს აღმოაჩინა. ერთ-ერთ ეპიზოდში ტომს თვალები ზურგში დარტყმის შედეგად ორბიტიდან ამოუცვივდა. 16 წლის ხანმა მისი გამეორება სცადა, ის საკუთარ ქუთუთოებს დააწვა და მისი თვალის გუგები გარეთ გამოვარდნენ.

– თავდაპირველად ვიფიქრე, რომ თვალები დავიზიანე, მაგრამ შემდეგ მივხვდი, მათთვის არანაირი ზიანი არ მიმიყენებია, – განაცხადა ყმაწვილმა.

ვიდეოები, რომლებშიც ასახულია, თუ როგორ კარკლავს ახმედი თვალებს, სოციალურ ქსელებში ფართოდ გავრცელდა. ის რამდენჯერმე ტელეგადაცემებშიც მიიწვიეს და მას ქვეყნის ყველაზე გადმოკარკლულთვალებიანი ბიჭი უწოდეს. ხანის თქმით, მას ქუჩაში ცნობენ და მასთან ერთად სელფის გადაღებას სთხოვენ. თუმცა ისეთებიც არიან, რომლებსაც მისი შესაძლებლობები აშინებს.

ნიუ-იორკის ცენტრალური მოედანი ფუტკრებით აივსო

ნიუ-იორკში ათასობით ფუტკარმა პოლიცია იძულებული გახადა ქალაქის მთავარი მოედანი ტაიმსსკვერი გადაეკეტა.

ათასობით ფუტკარი მოედანზე არსაიდან გამოჩნდა. ფეხით მოსიარულეები ხელების ქნევით ცდილობდნენ თავიდან მათ მოშორებას და პოლიციამ მოედნის გადაკეტვის გადაწყვეტილება მიიღო, რათა მწერები ადგილობრივ მცხოვრებლებსა და ტურისტებს თავს არ დასხმოდნენ. მალე ფუტკრების ოჯახმა ჰოთ-დოგების ჯიხურთან მდებარე დიდ ქოლგაზე მოიყარა თავი.

ფუტკრების დაჭერის ოპერაციას 45 წუთი დასჭირდა. ამას აკეთებდა პოლიციელი, რომელსაც თავად აქვს საკუთარი სკები. ის ამისთვის იყენებდა მტვერსასრუტის მსგავს მოწყობილობას, რომელიც მწერებს ზიანს არ აყენებს.

დეტექტივ სოფია მეისონის თქმით, ამ ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა და იქვე ხუმრობით განაცხადა, რომ, როგორც ჩანს, ფუტკრებს უბრალოდ ჰოთ-დოგის დაგემოვნება სურდათ.

ბეჰემოთმა ნიანგის თავდასხმას გადარჩენილი მეთევზე მოკლა

კენიაში ბეჰემოთმა მოკლა მეთევზე, რომელიც ნიანგის თავდასხმას გადაურჩა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

23 წლის ჰამისი ომარი სათევზაოდ ტბა ვიქტორიაზე იმყოფებოდა. დაახლოებით ათ წუთში მის ნავს თავს დაესხა ბეჰემოთი. მისი დატაკების შემდეგ ომარმა ნავში თავის შემაგრება ვერ შეძლო და წყალში გადავარდა. ცხოველმა ნავს თავი ანება, ახალგაზრდაზე გადაერთო და მოკლა.

– ის ნავის უკანა ნაწილში იჯდა, – განაცხადა მისმა თანამგზავრმა, – თავდასხმა ისეთი მოულოდნელი და სწრაფი იყო, რომ მისი დახმარება ვერაფრით შევძელი.

მისი თქმით, ბეჰემოთი მის ტერიტორიაზე უცხოს გამოჩენაზე იმიტომ იყო ასეთი აგრესიული, რომ მას ახლად დაბადებული ნაშიერი ჰყავდა.

ომარი თევზაობით გატაცებას ახლახან დაუბრუნდა. ის დაახლოებით ერთი წლის წინ ნიანგის თავდასხმას გადაურჩა და სამი თვე საავადმყოფოში გაატარა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს

გარდაიცვალა
პროფესორი
თამაზ ყანდარელი

ნამდვილი კოლორიტი, შესანიშნავი მეუღლე, მამა, ბაბუა, სტუდენტების საყვარელი ლექტორი, სპორტსმენი, დიდი იუმორის მქონე მრავალმხრივი და ნიჭიერი პიროვნება. მისი ერთგულება, სიყვარული, სითბო, თანადგომა და შესაშური მასპინძლობა დააკლდება მის მეუღლეს მარინა ქებურიას, შვილებს მიშოსა და რატის, შვილიშვილებს ლუკას, ანას, მარის, ანასტასიას, ძმა ირაკლის, მის მეგობრებსა და ყველა ახლობელს.

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი ლამაზი სული.

არსენ გვიმრაძის ოჯახი

მეუღლე თალიკო, შვილები რამაზი, თამაზი, რძლები ნინო, თამილა, შვილიშვილები თამუნა, გიორგი, მარიამი, ცოლისძმა ჟორა, რძალი მაია, ცოლისდა ნათელა, ქვისლი თემური იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯემალ გალაქტიონის ძე კოპალიანი

გამოსვენება: შაბათს, 1 სექტემბერს, 15 საათზე.
მისამართი: ცაგერის რაიონი, რუსთაველის ქუჩა №6.

თემურ ჭელიძე ოჯახით სამძიმარს გამოთქვამს ქვისლის

ჯემალ კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 აგვისტოსთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5712

ევრო — 2.9849

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3019

100 რუსული რუბლი — 3.8149

ამინდის პროგნოზი 30 აგვისტოსთვის

ვეგეტარიანელთა ფესტივალი ფერმერებისა და მონადირეთა მუქარის გამო გაუქმდა

საფრანგეთის პა-დე-კალეს დეპარტამენტის ქალაქ კალეში საზოგადოებრივი მღელვარების გამოწვევის შიშით ვეგეტარიანელთა ფესტივალი, რომელიც სექტემბრისთვის იყო დაგეგმილი, გააუქმეს.

კალეს მერმა განაცხადა, რომ ღონისძიების ჩატარებაზე უარის თქმა იმის გამო მოუხდათ, რომ მისი მომწყობებისა და

ფესტივალის დამსწრეების უსაფრთხოების დაცვის გარანტია არ არსებობდა. მისი თქმით, ცნობილი გახდა, რომ ვიღაც შიშს თესავს და არეულობის მოწყობას ცდილობს. მას არ დაუზუსტებია, თუ ვისზეა საუბარი, მაგრამ დაამატა, რომ ფესტივალის თემა აქ არაფერ შუაშია.

ვეგეტარიანული ფესტივალის ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ მისი გაუქმების გადაწყვეტილება მონადირეთა და ფერმერთა ზეწოლის შედეგად იქნა მიღებული. მათი თქმით, ისინი არაორაზროვნად აცხადებდნენ, თუ რა მოხდებოდა თუ ღონისძიებას მსვლელობა მიეცემოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლაკაზეტმა შესაძლოა არსენალი დატოვოს

ლონდონის არსენალის ფრანგმა ფორვარდმა ალექსანდრ ლაკაზეტმა შესაძლოა არსენალი დატოვოს, რადგან უნაი ემერი მას არ ენდობა და არ აძლევს სათამაშო დროს.

გასულ სეზონში ლაკაზეტი არსენალის ერთ-ერთი ლიდერი იყო, მაგრამ უნაი ემერის მოსვლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ლაკაზეტი თითქმის აღარ გამოდის მოედანზე და შესაძლოა ის საფრანგეთში დაბრუნდეს, თუმცა ჯერჯერობით კონკრეტული გუნდი არ სახელდება.

არსენალში გადასვლამდე ლაკაზეტი ლიონის ღირსებას იცავდა და ამ გუნდის მთავარი ბომბარდირი იყო.

მარსელო შესაძლოა იუვენტუსში მომავალ წელს გადავიდეს

მადრიდის რეალის მცველი მარსელო შესაძლოა იუვენტუსში მომავალ ზაფხულს გადავიდეს. მარსელოს თავისთან კრიშტიანო რონალდო ეპატიჟება და, როგორც ჩანს, ბრაზილიელი თანახმაა.

მარსელოს რეალთან კონტრაქტი ორ წელიწადში უმთავრდება და ის ალბათ არ აპირებს კონტრაქტის გახანგრძლივებას.

მარსელოს წასვლა რეალისთვის დიდი დანაკარგი იქნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ხანგრძლივი ცურვის შემდეგ გემი მშობლიურ პორტში ბრუნდება. მეზღვაური მეუღლეს სმს-ს უგზავნის:

„ექვსი თვე სექსის გარეშე. შენს ინტერესებშია, რომ ჩემ დასახვედრად პირდაპირ ტრაპთან მოხვიდე“.

მცირე ხანში ცოლისგან საპასუხო სმს-ს იღებს:

„ექვსი თვე სექსის გარეშე. შენს ინტერესებშია, რომ ტრაპიდან პირველი ჩამოხვიდე!“

●●●

გვიან ღამით პროფესორის სახლში ტელეფონი რეკავს. პროფესორმა ყურმილი აიღო და გაღიზიანებული კითხულობს:

– გისმენთ!

– რა, გძინავს, ხომ, შობელძაღლო?!

– რაა?!

– მე კი ვმეცადინეობ.

●●●

ფსიქიატრი პაციენტს მიმართავს:

– დამშვიდდით, დაწყნარდით, არ ინერვიულოთ, ყველაფერი ნორმალურადაა. ახლა კიდევ ერთხელ თავიდან მომიყევით ყველაფერი.

– ხომ გითხარით, ჯერ შევქმენი ცა და დედამიწა...

●●●

ავტობუსმა გარკვეული მანძილი ღია კარით გაიარა, შემდეგ კი მძღოლმა დახურა. მცირე ხნის შემდეგ სიცხისგან შეწუხებული ერთ-ერთი მგზავრი მძღოლს ეუბნება:

– იქნებ კარი გახსნათ, ძალიან ცხელა.

– მერე, ვინმე რომ გადავარდეს ღია კარიდან?

– არა უშავს, მისი მგზავრობის ფულს მე გადაგიხდით.

●●●

ექიმი მამაკაცს ეკითხება:

– ეროტიკული სიზმრები ხომ არ გაწუხებთ?

– არა, ექიმო, მხოლოდ ეგაა, რომ არ მახარებს...

●●●

ერთი ბავშვი მეორეს ეუბნება:

– მამაშენს რა მაგარი მანქანა ჰყავს. ალბათ ნავიგატორიც ექნება.

– აღარ აქვს.

– რატომ?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფშიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ბუფონი სიგარეტით ხელში გამოიჭირეს

ჯანლუიჯი ბუფონი პარიზში თავის მეგობარ ქალთან სეირნობის დროს სიგარეტით ხელში დაინახეს და შემდეგ ინტერნეტშიც გავრცელდა სურათები. ამ ფაქტის გამო შესაძლოა ბუფონმა პსჟ-ს მომავალი ორი თამაში სათადარიგოთა სკამზე გაატაროს.

პსჟ-ს გერმანელმა მწვრთნელმა ტომას ტუხელმა განაცხადა რომ ის არავის აპატიებს უდისციპლინობას და მისთვის ავტორიტეტები არ არსებობენ.

აღსანიშნავია, რომ ბუფონი სიგარეტით ხელში ადრეც დააფიქსირეს, როდესაც ის იუვენტუსის ღირსებას იცავდა.

რაფინია კარიერას ბეტისში გააგრძელებს

ბარსელონას ბრაზილიელი ნახევარმცველი რაფინია ალკანტარა კარიერას ბეტისში გააგრძელებს. რაფინია უკვე სევილიაში იმყოფება, სადაც ის ამ დღეებში თავისი ახალი გუნდის შემადგენლობაში დაიწყებს ვარჯიშს.

ბეტისში რაფინია ერთწლიანი იჯარით გადავიდა და ბარსელონას მისი გამოსყიდვის უფლება ექნება.

რაფინიას აგენტმა განაცხადა რომ მის კლიენტს უფრო მეტი სათამაშო დრო სჭირდება და ეს იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც რაფინიამ ბარსელონა დატოვა. გასულ სეზონში რაფინია ასევე განათხოვრებული იყო მილანის ინტერში.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ფაკულტეტის ხელმძღვანელი უმაღლეს სასწავლებელში; 2. პარაზიტი-მკბენარა მწერი; 3. რაიმე ამოცანის ამოსახსნელად საჭირო მათემატიკურ მოქმედებათა ერთობლიობა; 4. ბალახოვანი მცენარე, რომლის ფესვებისგან ამზადებენ წითელი ფერის საღებავს. 5. ცხელი ქარი; 8. დაბალხარისხოვანი მატყლისგან მოთელილი ნაბადი; 9. ფარისეველი, ქლესა, ცბიერი ადამიანი; 12. ტროპიკებში გავრცელებული მოკლეხორთუმიანი ცხოველი; 14. ოპერა „სეველიელი დალაქის“ კომპოზიტორი; 16. წმინდა გამარჯვება ძიუდოში.

თარაზულად: 1. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. ტროპიკულ წყლებში ბინადარი დიდი ფრინველი; 7. ოქროს ფერში ამოვლებული ძაფი; 9. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 10. კულინარიასა და მედიცინაში გამოყენებული ორნახშირმჟავა ნატრიუმის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 11. სასუნთქი თამბაქო; 13. მზის სისტემის პლანეტა; 17. საკუთარი საქციელის ავკარგიანობის შინაგანი შეფასება; 15. იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანეთის სოფელი; 18. გია დანელიას კინოკომედია; 19. მისაღები თანხის წინასწარ აღებული ნაწილი; 20. ძველბერძენი მოქანდაკე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა